MES 3 21 0000257551

19/03/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.03.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო:21:35სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანი
საბჭოსმდივანი:მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათიაზედგენიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინოიმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ანაფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

6. ელენე ჟურავლიოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ანზორბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. ნიკათიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშრისო ურთიერთობების ხელმძღანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. გიორგიღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. დავითკაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
19. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე		რექტორი, პროფესორი	I

		სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი		
2	მირანდა მნაცაკანიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I
3	ციცინო დავითულიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
4	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	რექტორი	II - III
5	ნინო მილაშვილი	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	II - III
6	მალხაზ ლომსაძე	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლის საბაკალავრო და სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	II - III
7	დავით ხობელია	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II - III
8	ნუგზარ თევდორაძე	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II - III
9	გიორგი აბაშიშვილი	სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საზოგადოებრივ საქმეთ ინსტიტუტის კანცლერი	IV
10	ბაკურ კვაშილავა	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლის დეკანი	IV
11	ირაკლი სოკოლოვსკი	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლა - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	IV
12	დავთ წასიძე	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი		IV

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
13	ირინა ბაქრაძე	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლა - ხარისხის სამსახური	IV
14	ელენე ბერიძე	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	IV
15	ნანი მაჭარაშვილი	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი	IV
16	ნინო ხურციძე	ა(ა)იპ ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	სამართლის და პოლიტიკის სკოლა - მოწვეული ლექტორი	IV
17	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
18	თამარ ლომინაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი	V
19	ქეთევან კოტეტიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V
20	ირინე გოცირიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ ხელმძღვანელი	V
21	ნანული დანელია	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი

1	მიხეილ ელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ბაქარ დუაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II - III
5	ზვიად როგავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II - III
6	ლევან მოსახლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II - III
7	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	II - III
8	ლევან ჯაყელი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	ირინე ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
10	ნინო ლიპარტი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ილია წიკლაურ	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ელენე ჩერქეზია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	ირმა მანჯავიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	ლაშა ლალიაშვილ	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგენიძე - ჯიშკარიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 23 სექტემბრის N40 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59, სასწავლო კორპუსი N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 17 ნოემბერს. ვიზიტის ფარგლებში მათ შეისწავლეს „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება და მასაზე თანდართული დოკუმენტაცია. მისი თქმით, ვიზიტმა ჩაიარა საკმაოდ ნაყოფიერად. „გეოგრაფიის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 8 სემესტრის განმავლობაში, სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 კვირას. პროგრამა შედგება ძირითადი და დამატებითი სპეციალობისგან . ძირითადი სპეციალობა მოიცავს სპეციალური სავალდებულო საგნების 121 კრედიტს, ძირითადი სპეციალობის არჩევითი 16 კრედიტს, თავისუფალი სავალდებულო კურსების 33 კრედიტს. თავისუფალი არჩევითი კურსები კი წარმოდგენილია 10 კრედიტით, ხოლო დამატებით სპეციალობა განსაზღვრულია 60 კრედიტით. ვიზიტის განმავლობაში შეეხვედრა განხორციელდა ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, მთლიანობაში პროგრამა შესაბამისობაშია იმ მოთხოვნებთან, რა მოთხოვნებსაც ითვალისწინებს აკრედიტაციის სტანდარტები. ექსპერტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სასწავლო საველე გეოლოგიურ პრაქტიკაზე, რომელიც მისი თქმით მოიცავს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს. სტუდენტების განკარგულებაშია საკმაოდ კარგი გეოგრაფიისა და გეოლოგიის კაბინეტი, სადაც უმთავრესი ქანები, მინერალები და რუკებია გამოფენილი, ეს ყველაფერი კი სტუდენტს ეხმარება საბაკალავრო ნაშრომების შექმნაში. მაღალ დონეზეა ბიბლიოთეკა, არის რამდენიმე გეორგაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), რომელებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად დაეუფლონ საგნებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაციები, ისინი შემოიფარგლნენ მხოლოდ რჩევებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს, მისი განმარტებით ექსპერტთა კრიტიკული შეფასებები და რჩევები ხელს უწყობს პროგრამის განვითარებას. როგორც მან აღნიშნა, პროგრამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გაიცა რეკომენდაციები, ხოლო რაც შეეხება რჩევებს, უმეტესი ნაწილი მათ უკვე გათვალისწინებული აქვთ და დანარჩენსაც გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, რომელიც მისი აზრით კვლევა ნაკლებადაა. მან აღნიშნა, რომ კვლევის მიზნით დაწესებულებამ შეისწავლა 12 სკოლის ხელმძღვანელი პირი. ქედან 11 არის იმერეთიდან. იმერეთის რეგიონში კი სულ არის 316 სკოლა. აქედან გამომდინარე ის დაინტერესდა, მიღებული შედეგების ვალიდურობასთან დაკავშირებით. ასევე, ბიუჯეტთან დაკავშირებით გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია „პრაქტიკის ანაზღაურება 80 „ ანუ, 1 სტუდენტზე დათვლილია 20 ლარი, რაც ჯამში მოიაზრებს 4 სტუდენტს. ხოლო სტუდენტთა კონტიგენტის ოპტიმალურ ოდენობად განსაზღვრულია 19. შესაბამისად მან იკითხა აღნიშნული იყო თუ არა რაიმე ტექნიკური შეცდომა და დაწესებულება ხომ არ გულისხმობდა 380 სტუდენტს ნაცვლად 4 - ისა.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა დასვა დამაზუსტებელი კითხვა. როგორც მან აღნიშნა, ექსპერტების დასკვნაში მოცემულ რჩევებში ორჯერაა აღნიშნული, რომ უმჯობესი იქნება პრაქტიკული უნარ - ჩვევები ჰქონოდათ სტუდენტებს. პროგრამაში მართლაც არ ჩანს ლაბორატორიული მეცადინეობები და საინტერესოა, თუ რამდენ ხანს ატარებს სტუდენტი ლაბორატორიაში.. ასევე, ის დაინტერესდა სასწავლო კურსებთან „კალკულუსი“ და „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“დაკავშირებით, მისი თქმით დღევანდელმა თაობამ, ყოველშემთხვევაი უმეტესობამ, ისედაც კარგად იცის კომპიუტერის აღნაგობა. შესაბამისად, რამდენად აუცილებელია სტუდენტებისთვის აღნიშნული საკითხების სწავლება?

საბჭოს წევრმა თეონა მატარაძემ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის გეოგრაფიის ბაკალავრი, ხოლო კურიკულუმში საზოგადოებრივი გეოგრაფიის ყველა საგანი არის არჩევითი. მათ შორის არის ისეთი საგნებიც, რომლებიც არ არის საზოგადოებრივი გეოგრაფიიდან, რის გამოც შეიძლება სტუდენტმა აირჩიოს ისეთი არჩევითი საგანი, რომელიც არ არის საზოგადოებრივი გეოგრაფიიდან, შესაბამისად სტუდენტმა შესაძლოა ცოდნა მიიღოს მხოლოდ ფიზიკური გეოგრაფიიდან, აქედან გამომდინარე, მან მიმართა დაწესებულებას, რამდენად სწორია სავალდებულო საგნად არ ისწავლებოდეს საზოგადოებრივი გეოგრაფიის კომპონენტი, მითუმეტეს მაშინ, როდესაც, დაწესებულება შრომის ბაზარში განიხილავს სკოლას, როგორც დამსაქმებელს, სადაც საზოგადოებრივი გეოგრაფიის კომპონენტებიც ისწავლება. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა რომ, აბსულუტურად ყველა სილაბუსში, გარდა ორი პრაქტიკის სილაბუსისა, შეფასების სისტემა არის მსგავსი. მან დაწესებულებას მიმართა რამდენად ეფექტურია ყველა სილაბუსთან მიმართებით მსგავსი შეფასების სისტემის არსებობა.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა გეოგრაფიის დამატებით მაინორ პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ, მისი თქმით, მაინორის სტრუქტურაში არის ერთი 5 კრედიტიანი

საველე პრაქტიკა და ამის ხარჯზე გამოიკვეთა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მესამე უნარის გაწერის აუცილებლობა, რაც არის პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. ის დაინტერესდა, რამდენად რელევანტურია, რომ მაინორ პროგრამაში ეს უნარი გამომუშავებულ იქნას 5 კრედიტიანი პრაქტიკის ხარჯზე. ასევე, მისი თქმით, აკადემიური წერის სილაბუსში, რომელიც არის სამ კრედიტიანი, ასევე გაწერილია ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, ის დაინტერესდა ამ საგანში როგორ უნდა მოხდეს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის გაზომვა, მაშინ როდესაც პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, ხომ არ სურდათ საბჭოს წევრების მიერ გაჟღერებულ კითხვებზე პასუხების გაცემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ სახეზე იყო ტექნიკური ხარვეზი. ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დასმულ კითხვასთან მიმართებით, მან განმარტა, რომ მათ კვლევისთვის აარჩიეს ისეთი სკოლები, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს მეომორანდუმები დადებული, ასევე მათ იცოდნენ რომ იქ მათი კურსდამთავრებულებიც მუშაობდენ და აინტერესებდათ უშუალოდ კურსდამთავრებულები შეეფასებინათ აღნიშნული შეკითხვების მიხედვით. სწორედ ამიტომ აირჩიეს ის კონკრეტული 11 სკოლა. საბჭოს წევრის ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ტოპოგრაფიული გეოდეზიის პრაქტიკული სამუშაოები მოიცავს გეოდეზიული ხელსაწყოების გაცნობასაც. მათ აქვთ ბევრი ხელსაწყო, რომელიც არის კათედრაზე და რა თქმა უნდა იყენებენ მას პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების დროს. საზოგადოებრივ გეოგრაფიასთან დაკავშირებით დასმულ კითხვასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მათი საბაკალავრო პროგრამა ძირითად საკითხებთან ერთად მოიცავს დამატებით 60 კრედიტიან მაინორ პროგრამას, ასევე, კვალიფიკაციის ჩარჩოდან გამომდინარე 240 კრედიტიდან ნახევარი მაინც უნდა იყოს მაპროფილებელი საგნები, ამიტომ დაწესებულებამ ვერ მოახერხა საზოგადოებრივი გეოგრაფიის საკითხები შეეტანა ძირითად საკითხებში. რაც შეეხება შეფასების სისტემას 30/30/40 მისი თქმით, 40 ქულა არის დასკვნითი გამოცდის მაქსმულური შეფასება, არანალებ 30 ქულა შუალდური, ხოლო 30 ქულა არის სტუდენტების აქტივობა და ის გაწერლია შეფასების სხვადასხვა კომპონენტებით რაც სილაბუსებშიც ასევე ასახულია.

დაწესებულებამ ასევე ისაუბრა მაინორ პროგრამაში არსებულ პრაქტიკაზე, მისი თქმით, მათი სტუდენტები გადიან 5 დღე ველზე, მისი მოსაზრებით შეიძლება არ იყოს ისეთივე საკმარისი როგორც ძირითად პროგრამაზე, რომელზედაც მათ აქვთ 15 დღიანი ორი პრაქტიკა და ასევე 2 საგანში დამატებითი საველე პრაქტიკა. ეს არის მეტეოროლოგია კლიმატოლოგიაში და ნიადაგების გეოგრაფიაში. ამ პრაქტიკების დროს 11 დღე ისინი არიან ველზე, რომლითაც შესაძლებელია მესამე შედეგზე გასვლის შეფასება. რაც შეეხება აკადემიური წერას, მიუხედავად იმისა რომ მათ არ გააჩნიათ საბაკალავრო ნაშრომი, ყველა საველე პრაქტიკის შემდგომ ხდება პრაქტიკის შეჯამება და დაცვა სტუდენტების მიერ. სწორედ ამიტომ, მისი განცხადებით აუცილებელია აკადემიური წერის სწავლება, რომლის ფუნქციაა სტუდენტებმა სწორად წარმოადგინონ პრეზენტაციები, შეაჯამონ პრაქტიკები და მიღებული შედეგები სრულყოფილად წარმოადგინონ.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერის სწავლება საჭიროა ბაკალავრიატის დონეზე, უბრალოდ უნარის გაწერა სამ კრედიტიან საგანში რამდენად აუცილებელი იყო? აღნიშნულ კითხვაზე დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ ძირითადად სად საქმდებოდნენ ამ პროგრამის კურსდამთავრებულები, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ყველაზე მეტი დასაქმებული არის სასწავლო დაწესებულებებში, ასევე, გარემოს ეროვნული სააგნეტოს სამსახურებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოებში და თვითმართველობის სამსახურებში.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ კითხვა დაისვა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, მისი თქმით, შეფასების ერთგვაროვნება როგორც დაწესებულებამ განაცხადა არის დაკავშირებული უნივერსიტეტის რეგულაციასთან, რომლის შესაბამისად დაწესებული არის უნიფიცირებული ქულობრივი გადანაწილება, მან კითხვით მმართა დაწესებულებას, თქვენ რომ გქონდეთ თავისუფლება შეცვლიდით თუ არა შეფასების კომპონენტების ქულობრივ ოდენობას თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაში, და რითი არის განპირობებული რომ გაქვთ ასეთი უნიფიცირებული სისტემა, მისი თქმით, ეს არის გავრცელებული პრაქტიკა, მაგრამ სტანდარტი გვეუბნება რომ შეფასების კომპონენტები უნდა იყოს შესაბამისობაში კურსის შინაარსთან და სწავლების მეთოდებთან.

დაწესებულების განმარტებით ის არ შეცვლიდა არსებულ შეფასების სისტემას, იმიტომ რომ ასეთი შეფასება იძლევა შესაძლებლობას, თავის ნებაზე აირჩიონ ის თუ რა ტიპის შუალედურ გამოცდას თუ აქტივობას ჩაატარებენ ისინი სტუდენტებთან. მისი თქმით, ყველა საგანში არის განსხვავებული შეფასება და აქტივობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეფაების სისტემა ყველას ჰგონია უნიფიცირებული სინამდვილეში კი აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს. აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში შეფასება იყოფა სამ კომპონენტად. პირველი ეს არის-სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში და ის მოიცავს არაუმეტეს 30 ქულას. თავისუფლება აქვს თითოეულ აკადემიურ პერსონალს, მიიღოს გადაწყვეტილება და თავიანთი კურსი შეაფასონ კურსის შინაარსის შესაბამისად. თუმცა შეფასების სისტემა გადანაწილებულია 30 30 40-ად. 40 თავისთავად დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა. შუალედური გამოცდა კი არის არანაკლებს 30 ქულა. დაწესებულებამ განმარტა, რომ ისინი მაქსიმალურად თხოვენ დეპარტამენტებს და თვითშეფასების ჯგუფს, რომ თვითონ სტუდენტის აქტივობა გაწერილი იყოს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებით.

საბჭოს წევრის განცხადებით, პროგრამაში აქცენტი უფრო მეტად პრაქტიკულ უნარებზეა ორიენტირებული, ის დაინტერესდა აპირებდა თუ არა ინსტიტუცია კვლევითი უნარების კუთხით პროგრამის გაძლიერებას? მან ასევე ყურადღება გაამახვილა საბაკალავრო ნაშრომის თუნდაც არჩევითის სახით შეთავაზებაზე იმ სტუდენტებისთვის, ვისაც შემდგომ მაგისტრატურაში სურს სწავლის გაგრძელება.

საბაკალავრო ნაშრომი, ინსტიტუციის განცხადებით არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით, დაწესებულების განცხადებით ისინი არ თვლიან რომ საველე პრაქტიკაზე მიღებული შედეგები ნაკლებად მნიშვნელოვანია რომელსაც სტუდენტები ბოლოს პრეზენტაციის სახით წარმოადგენენ.

საბჭოს წევრის აზრით არასაკმარისი იყო შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, რამდენად საკმარისი იყო ისეთი დიდი რეგიონისთვის, როგორიც იმერეთია, 15 კაცის შედეგებით ხელმძღვანელობა? მისი თქმით, კარგი იქნებოდა დაწესებულებას წარმოედგინა დინამიკა, გაიზარდა თუ არა მოთხოვნა კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

ასევე კითხვა დაისვა სილაბუსსა და საგნებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა დადებითად შეაფასა ისეთი საგნის გამოჩენა პროგრამაში, როგორიცაა (გისი)-გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები. თუმცა ის დაინტერესდა როგორ ხდებოდა აღნიშნული საგნის ინტეგრირება სხვა სასწავლო კურსებთან, ის დაინტერესდა აღნიშნულ საგანს მარტო პრეზენტაციისთვის იყენებენ თუ ატარებენ კვლევით სამუშაოსაც? ასევე, მათ შეუძლიათ თუ არა ძირითადი სასწავლო სილაბუსის-გისის შესწავლის შემდეგ ინსტრუმენტის გამოყენება და ლანდშაფტის ტრიდე მოდელირების აგება? მან ასევე აღინიშნა, რომ სილაბუსში გეო ურბანისტიკა, მოცემულია ისეთი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ურბანისტიკასთან, სივრცით მოწყობასთან, ეკონომიკის სამინისტროსთან და მათ მონაცემებთან. თუმცა აღნიშნული საკითხების შესაბამისი ლიტერატურა მან ვერ ნახა სილაბუსში. შესაძლოა სალექციო კურსში გათვალისწინებულია თუმცა აღნიშნა, რომ მან ისარგებლა კონკრეტულ სილაბუსში მოცემული ინფორმაციით. მისი თქმით, ამ ყველაფრის გამოსწორებით პროგრამა უფრო მრავალფეროვანი გახდება.

დაწესებულების განმარტებით ისინი აუცილებლად გაითვალისწინებენ აღნიშნულ რეკომენდაციას. რაც შეეხება გისს, ის ისწავლება მეხუთე სემესტრში, ამის შემდეგ მას სტუდენტები იყენებენ კვლევებისა თუ ვიზუალური მონაცემების შესაქმნელად და დემონსტრირებისათვის. ასევე მას იყენებენ ლექტორებიც, ეს აუცილებელი საგანია არამარტო გეოგრაფიაში. რაც შეეხება ურბანისტიკას, მისი თქმით, მოკლე სალექციო კურსი მათ საშუალებას არ აძლევთ, რომ მოიცვან უფრო მეტი საკითხები.

საბჭოს წევრის თქმით, პროგრამის მიზნებში მოცემულია ფრაზა, რომ სტუდენტს უნდა შესწევდეს და შემდგომ ჩამოთვლილია უნარები. მისი თქმით შესაძლებელი იყო დაყოფილიყო ჯგუფი: ცოდნის მიღების მიზანი, უნარებზე ან ბოლოს პასუხისმგებლობის ჯგუფზე გასულიყო. დაწესებულებას ყველაფერზე უწერია „უნარი“ მაგალითად, ‘’გეოგრაფიული გარსის შემადგენელი სფეროების წარმოდგენის უნარი’’,’’შეფასების უნარი’’ და ა.შ. მისი კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რატომ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საკითხი ესეთი ფორმით. ინსტიტუციის განცხადებით აღნიშნული მიღებული აქვთ რჩევის სახითაც და გამოასწორებენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:39
დასრულების დრო: 15:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეორე სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ ორი რჩევა გადაიტანა რეკომედაციაში და ასევე დაამატა ერთი რეკომენდაცია.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.დაწესებულებამ ჩაატაროს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა და წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, სადაც ნათლად იქნება აღწერილი შემოსავლები, ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის დაფარვის წყაროები;
2. საველე პრაქტიკებში აქტიურად უნდა მოხდეს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების და დისტანციური ზონდირების (საჰაერო და კოსმოსური გამოსახულებების ანალიზი) გამოყენება;
3. მიეთითოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების არეალები, მაგალითად: სტუდენტი შეძლებს თუ არა დამოუკიდებლად აწარმოოს საველე გეოგრაფიული მასალის შეგროვება, დაამუშაოს მონაცემები გეოგრაფიული 7 საინფორმაციო სისტემების გამოყენებით და მოახდინოს მიღებული შედეგების კარტირება. ან იყოს გეოგრაფიული კვლევითი პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელის მითითებით აწარმოოს მონაცემთა მოძიება და დამუშავება. და ა. შ.

რჩევები:
1. პროგრამის მიზნები განსავრცობი და დასაკონკრეტებელია, რათა პირველ რიგში გასაგები იყოს იმ სტუდენტებისთვის ვინც აბარებენ ამ პროგრამაზე. იგივე რჩევა იქნა მიცემული დამოუკიდებელი ექსპერტის რეკომენდაციაშიც. ასევე განსავრცობია დასაქმების ბაზრის აღწერა, ვინაიდან როგორც დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, დასაქმების ბაზარი უფრო ფართოა ვიდრე ეს ნაჩვენებია პროგრამის აღწერაში;
2. სასურველია შედეგებში მეტი ყურადღება გამახვილდეს მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკაში გამოყენების საკითხზე, რათა მკაფიოდ ჩანდეს თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა მოსალოდნელი კვალიფიკაცია, პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
3. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კონკრეტულად რა მოცულობას მიიღებს სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, რათა გასაგები იყოს სწავლების შემდგომ საფეხურზე გაგრძელების სფეროები და დონე;
4. სასურველია კურიკულუმის ანალიზის რუკის მონაცემებში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების შედეგების ჩართვა
5. სილაბუსებში აქტიურად იქნას გამოყენებული თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან აწსუ-ში და ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში. ეს 8 ყოველივე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არ არსებობს უახლესი საერთშორისო სახელმძღვანელოების ქართულენოვანი თარგმანები;
6. კალკულუსის სილაბუსი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი მათემატიკის საკთხების საკმაოდ სტანდარტიზირებულ ჩამონათვალს, რთული დასაძლვი იქნება სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის ვისაც არ აქვს ჩაბარებული მისაღები ეროვნული გამოცდა მათემატიკაში. ჩვენი რჩევა იქნება რომ პროგრამაში განიხილონ პრეკალკულუსის სილაბუსის დამატება, რაც საშუალებას მისცემს შეავსოს სტუდენტის ცოდნა მათემატიკაში და მოამზადოს კალკულუსისი დონისათვის;
7. გეორგაფიული საინფორმაციო სისტემები (GIS), წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ცალკე სილაბუსი, რაც თავისთავად საჭიროა GIS-ის როგორც გეოგრაფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ტექნიკური და კონცეფტუალური მხარის ასათვისებლად, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანია მოხდეს GIS-ის აპლიკაციების ინტეგრაცია სხვა სილაბუსებში და მისი ინტენსიური გამოყენება სხვადასხვა გეოგრაფიული ამოცანების გადაჭრაში, მიღებული შედეგების კარტოგრაფიულ ვიზუალიზაციაში;
8. თანამედროვე გეოგრაფიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს დისტანციური ზონდირება, ინტერნეტ რესურსების გამოყენებით თავისუფლად ხელმისაწვდომია აერო და კოსმოსური ორთოსურათები (მაგალითად Google Earth, Bing Maps, ArcMap Baselayer), ატიურად ვითარდება და ხელმისაწვდომი გახდა უპილოტო საფრენი

აპარატების გამოყენება ახლო მანძილის აერო გადაღებებში. ჩვენი რჩევა იქნება, რომ არსებულ პროგრამაში დაემატოს დისტანციური ზონდირების სილაბუსი, თუნდაც არჩევითი საგნის დონეზე;
9. სტუდენტებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების განსავითარებლად სასურველია განიხილოთ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის დამატება პროგრამაში. აღნიშნული სილაბუსი ასევე კარგ თანხვედრაში მოდის სტუდენტურ კონფერენციებთან, რომელსაც ყოველწლიურად მართავს აწსუ, სტუდენთა აქტიური მონაწილეობით. ეს სილაბუსი ასევე შეიძლება დაუკავშირდეს საველე პრაქტიკებს, და სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი, მათ მიერ მოხდეს მასალის შეგოვება უშუალოდ საკუთარი საბაკალავრო კვლევისთვის;
10. სასურველია სწავლების მეთოდები უფრო განივრცოს, რათა გასაგები გახდეს პირველ რიგში სტუდენტებისათის, მაგალითების დონეზე ნაჩვენები იყოს კავშირი კონკრეტულ სილაბუსებთან.;
11. სასურველია მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო ჩართულობის
12. იქედან გამომდინარე, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „გეოგრაფიის ბაკალავრი," ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების სექტორად განიხილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სასურველია საზოგადოებრივი გეოგრაფიის არჩევითი კურსებიდან ზოგიერთი კურსი დაემატოს ძირითადი კურსების ჩამონათვალს;
13. აკადემიური წერის სილაბუსში გაწერილი სწავლის შედეგებიდან ამოღებულ იქნას პასუხიმგებლობის და ავტონომიურობის უნარი, ვინაიდან 3 კრედიტის მოცულობის საგნით შეუძლებელია ამ შედეგის, თუნდაც, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა, გაზომვა და დემონსტრირება, მითუმეტეს, როცა პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 სექტემბრის N380 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0800, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N113, უნივერსიტეტის I - ლი კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი : სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სისხლის სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 სექტემბრის N381 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სისხლის სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სისხლის სამართლის მაგისტრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0800, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა N113, უნივერსიტეტის I - ლი კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა

ვინაიდან განიხილებოდა სხვადასხვა საფეხურის ერთი და იგივე პროგრამა, რომელიც შეაფასა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა საბჭომ გადაწყვიტა რომ ორივე პროგრამა ერთად განეხილა.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაიხედოს და გადამუშავდეს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. ასევე, უნდა დალაგდეს პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებთან მიმართებით წინაპირობები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი განმარტებით ასევე არის ის, რომ საგნები ერთმანეთთან იყოს ლოგიკურ თანწყობაში ასევე, სასურველია სტუდენტები გარკვეულ ცოდნას

აგროვებდნენ, მანამ სანამ ისინი გადავლენ სიღრმისეულ დონეზე. აუცილებელია ასევე სილაბუსების გარკვეულწილად მოდიფიცირება, სილაბუსით გათვალისწინებული კვირეების სწორად გადანაწილება, კერძოდ ის გულისხმობს 15-16 კვირიან დატვირთვაზე გადანაწილებას. ასევე მან ყურადღება გაამახვილა საკანონდმებლო მაცნის ავტორიზირებულ წვდომაზე. მისი თქმით მიზანი და შედეგი გარკვეულ მოდიფიცირებას მოითხოვს, აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გადახედვა. როგორც მან აღნიშნა, პირველი და მეხუთე სტანდარტი ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, წარმოედგინათ მათი პოზიცია

დაწესებულების განმარტებით, ისინი აკრედიტაციის პროცესს განიხილავენ, როგორც სერიოზულ მექანიზმს იმისათვის, რომ კრიტიკულად გადაიხედოს გამოვლენილი პრობლემები და შესაბამისად მათ გამოხატეს სრული მზაობა რეკომენდაციების შესრულებაზე. როგორც მან აღნიშნა, სწავლის შედეგების შეფასება უნივერსიტეტმა დაიწყო 2018 წლიდან. 2018 წელს სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდებოდა საპილოტე რეჟიმში ხოლო 2019 წელს დამკვიდრდა ყველა სხვა პროგრამაზე. დაწესებულებამ ყურადღება გაამახვილა იმაზე თუ როგორ უნდა მოხდეს სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასება. ისინი მზად არიან გადახედონ და შეცვალონ სწავლის ფორმა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები. თავად პროგრამაში სწავლის შედგების შეფასება ასახულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზებულ საკანონმდებლო მაცნესთან წვდომასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს შეძენილი და წვდომა აქვს საკანონდმებლო მცნესთან, თუმცა ექსპერტების რეკომენდაცია გულისხმობდა იმას, რომ უფრო მეტ სტუდენტს ჰქონოდა შესაძლებლობა გამოეყენებინა ვტორიზებული საკანონმდებლო მაცნე, მისი თქმით, ამ მხრივ მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. კურსების წინაპირობების მიხედვით დალაგებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი პროგრამაში უკვე ასახულია და პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია თქვას, რომელ კურსებში შეიცვალა წინაპირობები და როგორ მოხდა გადალაგება სტრუქტურის მიხედვით. ის რომ სილაბუსი 15 კვირიან რეჟიმზე უნდა იყოს გაწერილი, დაწესებულება ამ რეკომენდაციის შესრულების მიმართაც გამოთქვამს მზაობას.

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების და სახელშეკრულებო სამართლის წინაპირობის ზუსტ დადგენას რაც შეეხება, ინსტიტუციის განმარტებით ორივე სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვრა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. რაც შეეხება სასწავლო კურსს, ადმინისტრაციული სამართლის პროცესი, მის წინაპირობად განსაზღვრულია სამოქალაქო პროცესი.

მე - 3 რეკომენდაცისთან დაკავშირებით - „პროფესიული ეთიკის სასწავლო კურსის პროგრამაში ასახვისა და შემუშავების შესახებ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროკურატურის მუშაკთა, ადვოკატთა და ნოტარიუსთა ეთიკური პრინციპების სწავლება, გათვალისწინებული იქნება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორთა და ადვოკატთა ეთიკის დებულებები მცირე დოზით ისწავლება ისეთ სასწავლო კურსებში როგორიცაა „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“, „ადმინისტრაციული პროცესი“ და „სამოქალაქო პროცესი 1“.

თემატიკის განმეორებასთან დაკავშირებით ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ ვრცელი თემატიკიდან გამომდინარე შესაძლოა განმეორებულიყო რიგი საკითხები თუმცა ისინი აღიარებენ რომ უმჯობესი იქნებოდა გაკეთებულიყო ჩაშლა, პრობლემა გამოსწორებულია და მანშესთავაზა დამსწრეებს გასწორებული საკითხების ელექტრონულად გაზიარება.

უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ წლების განმავლობაში ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამას. მათთვის გარე შეფასების დროს მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია და რეკომენდაცია მისაღებია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ ის ეთანხმება დასკვნაში არსებულ რეკომენდაციების ნაწილს. თუმცა, არის რაღაც საკითხები, რაც შეიძლება დაწესებულებას დარჩეს როგორც აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, როგორც მათი გადაწყვეტილება, ეს შეიძლება იყოს მაგალითისთვის 2.2 ''საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში''.კერძო 2 და კერძო1, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის შემდეგ შესაძლოა კერძო 2-ის წინაპირობა არ იყოს კერძო 1. აქ შესაძლებელია პრერეკვიზიტის გარეშეც იყოს შეთავაზებული. ხოლო პრერეკვიზიტებთან დაკავშირებულ სხვა რეკომენდაციას ის ეთანხმება.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა, საკანონდმებლო მაცნესთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ზეპირი მოსმენის დროს რექტორმა მზაობა გამოაცხადა მის შესყიდვასთან დაკავშირებით თუმცა დასკვნაშია წარმოდგენილი, რომ არ არის შესაძლებელი, რადგან ვებ გვერდებზე და საიტზე დევს აღნიშნული კანონები. მისი განმარტებით, საკანონდმებლო მაცნის შეძენა არც ისე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ის მისი შეძენის აუცილებლობის საკითხს ხედავს.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით პრერეკვიზიტებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა თუ არა ტექნიკურ ხარვეზს.

ასევე საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, ის რომ საერთაშორისო პროგრამებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას უნდა ჰქონდეს არა სარეკომენდაციო, არამედ რჩევის სახე.

საბჭოს წევრმა ექსპერტს მიმართა შეკითხვით მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, დასკვნაში წერია, რომ ''მეტი რესურსი უნდა იყოს გაცემული'', ეს მისი აზრით არის ზოგადი ჩანაწერი, შესაბამისად ის დაინტერესდა კონკრეტულად სად უნდა ჩადოს დაწესებულებამ მეტი რესურსი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ის გაეცნო შრომის ბაზრის კვლევას, მას სურს დაწესებულებამ დააზუსტოს შემდეგი საკითხი, კვლევაში წერია, რომ შესწავლილია მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ხოლო უნვერსიტეტის მისიაში მისი თქმით არსად არ არის აღნიშნული რომ ეს არის რეგიონალური უნივერსიტეტი, ის დაინტერესდა დაწესებულება ამაში ხედავდა თუ არა შეუსაბამობას.

დაწესებულების განმარტებით, მათ აუცილებლად მიაჩნიათ საკანონმდებლო მაცნის შესყიდვის საკითხი. თავად ინსტიტუციაც არის მომხმარებელი აღნიშნული იურიდიული დოკუმენტაციის. ამის რესურსი მისი თქმით, უნივერსიტეტს გააჩნია. დაწესებულების რექტორმა ასევე განმარტა, რომ საკმაოდ სოლიდურ რესურს იღებს რომ წვდომა ჰქონდეთ საერთაშორისო ბაზებზე. დაწესებულებამ აღნიშნა, ის ფაქტი, რომ პრაქტიკის განხორციელების ნაწილში ძალიან საინტერესო იქნებოდა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, სწორედ ამიტომ, დაწესებულება სათითაოდ გაივლის უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ვისთანაც მემორანდუმები აქვთ გაფორმებული აღნიშნულ საკითხებს.

მეოთხე სტანდარტში მეტი რესურსის საჭიროებასთან დაკავშირებით, ინსტიტუციამ განმარტა, რომ პერსონალის განვითარებისათვის ცალკეა გამოყოფილი რესურსი. ასევე დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ტრანსპორტირებას თბილისიდან ახალციხეში. ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ იქნა გაზრდილი პერსონალის სახელფასო განაკვეთი, ისევე როგორც დაფინანსება და მივლინებების ხარჯები.

შრომის ბაზართან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ რიგში რეგიონის განვითარებაზე და კადრების მომარაგებაზეა ორიენტირებული, მისი თქმით, ეს არ ნიშნავს იმას რომ არ უნდა იფიქრონ საქართველოს მასშტაბით.

სამართლის სკოლის დეკანმა გამორიცხა ის ფაქტი რომ შესაძლოა ერთდროულად განხორციელებულიყო ორი ერთმანეთის შემდგომი გასავლელი საგანი, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ გაუმართაობას. სისხლის ზოგადი ნაწილის წინაპირობა შეიძლება სისხლის სამართლის კერძო ნაწილის 1 - ის და 2 - ის წინაპირობაც.ზოგადი ნაწილის წინაპირობები ვრცელდება, როგორც ძარცვაზე ასევე მკვლელობაზე ყაჩაღობაზე და ასე შემდეგ. კერძო ნაწილის 2 ნაწილის წინაპირობა არ შეიძლება იყოს კერძო ნაწილი 1, რადგან კერძო ნაწილი 1 სწავლობს ადამიანის წინააღმდეგ და კაცობირიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ხოლო, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მისი განმარტებით ბოლო თავია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, როგორც მან აღნიშნა, მთელი რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა არის აბსოლუტურად იდენტური, როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი,რომ რიგ სასწავლო კურსის სილაბუსებში ლიტერატურა და საკითხები არის იდენტური. ასევე ის დაინტერესდა ბიუჯეტთან დაკავშირებით, მისი თქმით, წარმოდგენილია 2020 წლის ბიუჯეტი, სადაც ასიგნების სახით მოცემულია 244 954 ლარი, აქედან პრემიების სახით არის 15 555 ლარი, ჟურნალ გაზეთების სტამბაზე არის 10 000 ლარი ხოლო სამეცნიერო და კვლევითი გრანტები არის 0. ასევე ცარიელია ინტერნაციონალიზაციის მუხლი, ის დაინტერესდა როგორ არის 2021 წლის ბიუჯეტში მოცემული ფინანსური პარამეტრები? ასევე, მისი თქმით წარმოდგენილ cv - ებში, მან ნახა, რომ ერთ ერთ აკადემიურ პერსონალს აქვს მაგისტრის ხარისხი, ის დაინტერესდა, შეუძლია თუ არა მაგისტრანტს წაიკითხოს საგნები.

დაწესებულების განმარტებით ერთი თემა არის ორჯერ განმეორებული, მაგალითისთვის სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება 14 კვირასაც და 15 კვირასაც ისწავლება. ის, გამორიცხავს ფაქტს, რომ სისხლის სამართლის ზოგად ნაწილსა და ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ერთი და იგივე თემა არსებობდეს. მისი თქმით სამართლის მაგისტრები დაშვებული არიან პრაქტიკულ მუშაობაზე, გამონაკლისს წარმოადგენს პრაქთიკულ უნარებზე გამსვლელი სილაბუსები. სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში დაწესებულების განმარტებით აკადემიურ პერსონალად ჰყავთ მოსამართლეები. როგორც მან აღნიშნა, თუ კი რომელიმე პროფესორი მოითხოვს მონოგრაფიის სახელმძღვანელოს და სამეცნიერო ნაშრომის დაფინანსებას, უნივერსიტეტი მას სრულყოფილად დააფინანებს. რაც შეეხება მივლინებებში წასვლას, თუ კი ვინმე სურვილს გამოთქვამს, კონფერენციისთვის შესაბამისი ფინანსები გათვალისწინებული იქნება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს აქვს შიდა გრანტების პროექტი, სადაც გათვალისწინებულია 60 000 ლარი, ასევე, მისი თქმით, 30000 ლარია გათვალისწინებული თანადაფინანსებით წიგნებით ბეჭვდაზე, საერთო თანხა კი 160 000 ლარია.

საბჭოს წევრმა თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ მასალებში არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებულ სამეცნიერო პოტენციალის განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, აქ ასევე აღნიშნულია, რომ მათ შეძენილი აქვთ თურნითინის ლიცენზია, პლაგიატის პრევენციისთვის. საბჭოს წევრის კითხვა მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად რეალურად იყენებდნენ ამ პროგრამას და რამდენად ხდება სტუდენტების ნაშრომების რევიზია აღნიშნულით, ასევე ის დაინტერესდა რომელ სასწავლო კურსებში ხდებოდა პლაგიატის პრევენციის მექანიზმის გამოყენება?

16:00- ანა ნაცვლიშვილმა დატოვა სხდომა.

საბჭოს წევრმა, ნინოჭალაგანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებთან, რამდენად სარგებლობდნენ საერთაშორისო ბაზები თ სტუდენტები?

რექტორის განმარტებით უკვე დაცული სამაგისტრო ნაშრომი არ გადის შემოწმებას, ნაშრომი შემოწმებას გადის მხოლოდ პლაგიატის დასკვნის შედეგად, მისი თქმით, 2019 წლიდან ნაშრომები გადის პლაგიატის კომისიას. თითოეულ ნაშრომზე არსებობს ამობეჭდილი დასკვნა, რომელსაც ერთვება სიტყვიერი დასკვნა. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა ისიც რომ არსებობს ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტები. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ხარისხის სამსახურის უფროსის ყოველწიურ ანგარიშზე, რომელიც სავალდებულოა და ითვალისწინებს იმას თუ ბიბლიოთეკასთან რამდენ ადამიანს აქვს წვდომა. ინსტიტუციამ აღნიშნა, რომ ეს წვდომა არ არის 100%-იანი, მისი თქმით ამის ორი მიზეზი არსებობს, პირველი, ეს არის ენის ფლობა, რომლისთვისაც უნივერსიტეტმა უფასო კურსები გასცა როგორც პედაგოგებისთვის ისე სტუდენტებისთვის და მეორე, თავად გამოყენების ინსტრუქციები. მისი თქმით, მათ ჩაატარეს ტრეინინგები იმის შესახებ თუ როგორ გამოიყენონ აღნიშნული პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, კომენტარი გააკეთა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით, მისი თქმით, პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობიდან გამომდინარე უნდა მომხდარიყო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილი ბიუჯეტი არის ფაკულტეტის ჭრილში, სწორედ აღნიშნულიდან მოხდა მათი მხრიდან დათვლა და მივიდა ექსპერტთა ჯგუფი დასკვნამდე, რომ არ იყო საკმარისი თანხა.

რაც შეეხება თემების გამეორებას, ექსპერტის განმარტებით საკმაოდ ბევრ სილაბუსში იყო განმეორებები. როგორც მან აღნიშნა, თემატიკის, ლიტერატურისა და ჩაშლის იდენტურობა დაადასტურა სილაბუსებში, მისი მოსაზრებით ეს იყო ეგრეთწოდებული copy/paste. პროგრამა კოდექსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეძენილი აქვს მხოლოდ 1 იუზერი და იქედან გამომდინარე, რომ როდესაც 1 ადამიანია შესული პროგრამაში მეორე ამ პროგრამით ვერ სარგებლობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კიდევ დამატებითი კითხვები საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

საბჭომ დაიწყო „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის განხილვა, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოედგინა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები იწყება მიზნებით, მისი თქმით, პროგრამის მიზნები უფრო ნათლად და დეტალურადაა ჩამოსაყალიბებელი. პროგრამის მიზნებს უკავშირდება სწავლის შედეგები, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმიც,

მისი განმარტებით, პირდაპირ არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. როგორც მანა აღნიშნა საუბარია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასებაზე. პირდაპირი მეთოდები ექსპერტის განმარტებით, არის ის, რითაც უშუალოდ იზომება პროგრამის სწავლის შედეგი. შემდეგი რეკომენდაცია ეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ უცხო ენასთან მიმართებით უნდა დაკონკრეტდეს დონე, კერძოდ ინგლისურ ენაში. ასევე მან ყურადღება გაამახვილა სასწავლო კურსებში განსაზღვრულ თემათა იდენტურობაზე, მისი თქმით, ახალი დარგობრივი სამართლის მახასიათებლის შემუშავების შემდგომ ადვოკატისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტები გაიმიჯნა ერთმანეთისგან უმაღლეს განათლების დონეთა მიხედვით ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის შემთხვევაში, შესაბამისად სასწავლო კურსი - პროფესიული ეთიკა - მოიცავს მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებას. სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა გათვალისწინებით რეკომენდირებულია ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლება გადატანილი იქნეს საბაკალავრო საფეხურზე, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებისა და მოსამართლის ღირებულებითი ასპექტების სწავლებაზე, მისი თქმით, ის რაც დარგობრივმა გამიჯნა, უნდა გაიმიჯნოს პროგრამულ დონეზეც.

ექსპერტთა თავმჯდომარის თქმით, მომდევნო საკითხები უკავშირდება პროგრამაში სამართლის დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, საგნების თემების განსაზღვრას-ევროკავშირის სამართალთან.'' მთელ რიგ სასწავლო კურსებში (დანაშაულის მოძღვრება, მტკიცებითი სამართალი, შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი, საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა, ევროპული სისხლის სამართალი) დასაზუსტებელია სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში. ასევე, რეკომენდირებულია სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომელიც დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს. ექსპერტის განმარტებით,
გარკვეული სამაგისტრო ნაშრომები დაწესებულებას თავად უნივერსიტეტის შიდა ორგანიზაციულ მოწყობისა და რეგულაციების მიხედვით უნდა გადაეხედა, სადაც შესაძლოა იკვეთებოდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტები, რაც სამაგისტრო ნაშრომთან მიმართებით ეს ერთ-ერთი ბოლო მთავარი და გადამწყვეტი საკითხი შესაძლოა იყოს. რესურსებთან მიმართებაში, ანალოგიურად არის საკითხი საკანონმდებლო მაცნესთან და აკადემიურ და სამეცნიერო მოწვეულ პერსონალის ხელშემწყობ ფინანსურ რესურსების ზრდასთან დაკავშირებით. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან. საუბრის დასასრულს მან აღნიშნა, რომ არსებობს ბევრი რჩევაც, რომლის განხორციელებაც დაწესებულების უფლებამოსილებაა.

დაწესებულების განმარტებით, პროგრამის მიზნებსა და შედეგებზე მათ უფრო ზოგადი ხასიათის დებულებები აქვთ ჩამოყალიბებული თუმცა დაწესებულება დაკონკრეტების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ კურიკულუმის გეგმაში გათვალისწინებული აქვთ ის, თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს კონკრეტული სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. რაც შეეხება

სასწავლო კურსებს, ''ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოვება'', აღნიშნული სასწავლო კურსი შესაძლოა მათი მხრიდან ამოღებული იქნეს. როგორც მან აღნიშნა, რადგან დარგობრივი სტანდარტის მახასიათებლით, სასურველია ევროპის სისხლის სამართალი ისწავლებოდეს, მათი განმარტებით ეს საგანი შესაძლოა გადატანილ იქნეს ძირითად სასწავლო კურსში. რაც შეეხება თემებს ცალკეულ სილაბუსებში, რომ 13 14 კვირაში თემები მეორდება, დაწესებულება აღიარებს მის ბრალეულობას და განმარტავს, რომ მათი მხრიდან უნდა განხორციელებულიყო ტემების სხვაგვარად ჩაშლა. რაც შეეხება დაშვების წინაპირობებს, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რომ მკფიოდ უნდა განისაზღვროს დაშვების წინაპირობად B2 დონის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით უნივერიტეტს გააჩნია სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია, რომელიც ყველა პროგრამაზე მოქმედებს, აქაც მათი მოსაზრებით შესაძლებელია დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მაგისტრებისათვის. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებას, ის ხდება ინტრუქციის და სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. პროცედურა შემდეგნაირადაა გაწერილი, ჯერ ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს სამაგისტრო ნაშრომთა თემატიკას, შემდეგ დამტკიცებული პროგრამა და ხელმძღვანელი გადაეცემათ სტუდენტებს, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მოცემული ნაშრომიდან აირჩიონ ერთ-ერთი მიანც, თუ სურვილი ექნება სტუდენტს შეცვლის თემატიკას. ამის შემდგომ მუშაობის პროცესში არსებობს უკუკავშირი სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის. დაიწყებენ მუშაობას იმ თემაზე, რომ 15 კვირის განმავლობაში გაწეული კონსულტაცია ხელმძღვანელის მიერ ასახული იყოს სილაბუსში. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი გაივლის პლაგიატის აღმოჩენის პრევენციისა და რეაგირების კომისიას, გადმოეცება ფაკულტეტს, ხოლო ფაკულტეტი მას სარეცენზიოდ აძლევს რეცენზენტებს, ამ პროცედურების შემდეგ კი დგება დაცვაზე გაშვება ან არ გაშვების საკითხი. ნაშრომს აფასებენ კომისიის ცალკეული წევრები და ბოლოს შუალედური შესაკრებთა განაყოფის ხარჯზე გამოიყენება სწორი შეფასება. დაწესებულება ამ ყველაფრის შემდგომ კომისია სტუდენტს ან ანიჭებს სისხლის სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციას ან უარს აცხადებს. ეთიკის ნორმებთან დაკავშირებით უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, მათ აღნიშნეს რომ მაგისტრატურის დონეზე ჰქონდათ გათვალისწინებული პროფესიული ეთიკა, სადაც ისწავლებოდა, როგორც მოსამართლის ისე პროკურორის მუშაკთა, ასევე ადვოკატთა და ნოტარიუსთა ეთიკა, ვინაიდან რეკომენდიაცია იქნა გაცემული იმის თაობაზე, რომ ადვოკატთა, პროკურორის მუშაკთა და ნოტარიუსთა ეთიკის ნორმები გადაეტანა ინსტიტუციას ბაკალავრის დონეზე, ამასთან დაკავშირებით შედგენილია ახალი სილაბუსი და გათვალისწინებულია რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძემ კითხით მიმართა დაწესებულებას, როგორც მან აღნიშნა, ექსპერტთა დასკვნაში საუბარია რომ 2017-2018,2019 წლებში სხვადასხვა მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომებზე გაჩნდა კითხვები, რომელიც უკავშირდებოდა უშუალოდ აკადემიურ კეთილსინდისიერებას და ამ კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტს, მან სთხოვა დაწესებულებას, განმარტება გაეკეთებინათ აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორის განცხადებით, დაწესებულების 26 პროგრამიდან აკრედიტებულია 20. როგორც მან აღნიშნა, ეს არის ერთადერთი პროგრამა, რომელზედაც დაიდო მსგავსი დასკვნა. ეს მისი მოსაზრებით სცილდებოდა ერთ პროგრამას და ეხებოდა მთლიანად ინსტიტუციის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ. მათ დაწყებული აქვთ მოკვლევა და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის რომ მსგავსი ფაქტები არ განმეორდეს.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლიოვა დაინტერესდა თანაფარდობასთან დაკავშირებით, მისი თქმით სამაგისტრო ნაშრომის სამი პოტენციური ხელმძღვანელი როგორ გადანაწილდება 57 სტუდენტზე.

საბჭოს წევრი მაკა კაჭარავა დაინტერესდა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, როგორც მან აღნიშნა, სამაგისტრო პროგრამა ითხოვს გამჭვირვალე და ღია მიღების წინპირობებს, აღნიშნულ პროგრამაზე არ არის არამარტო უცხო ენის დონე დადგენილი, არამედ ის, თუ რომელი უცხო ენა უნდა ჩააბაროს აპლიკანტმა.
საბჭოს წევრის განმარტებით, შიდა სასპეციალიზაციო გამოცდას აბარებს ყველა მიღებული აპლიკანტი, მითითებულია რომ უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტულად რაში უნდა ჩააბარონ მაგისტრებმა გამოცდა, არ არის განსაზღვრული არც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შესაბამისად, როგორც მან აღნიშნა, მიღების წინაპირობის ყველა პუნქტი მოითხოვს დაზუსტებასა და გაშლას. ასევე, მან აღნიშნა, რომ პროგრამის მეორე გვერდზე, მითითებულია ფორმულირებული პროგრამის ხუთი ძირითადი მიზანი, თუმცა მეცხრე გვერდზე არის ერთ-ერთი კურიკულუმის რუკა, რომელიც ეხება სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობას ერთმანეთთან, აღნიშნულ რუკაში გაჩენილი და დამატებულია მეექვსე მიზანი, რომელიც ეხება ევროკავშირის სამართლის უნარების შეძენას, ხოლო ამასთან დაკავშირებით ზემოთ აღნიშნულ ხუთ მიზანში საუბარი საერთოდ არ არის. საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული ხომ არ წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს. საბჭო წევრი, მაკა კაჭარავა ასევე დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ინსტრუქციასთან დაკავშირებით. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებას უწერია, რომ სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ინსტიტუციის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პერსონალი, ის დაინტერესდა მოწვეული პერსონალის ხელმძღვანელობა რამდენად მართებულია და რა განაპირობებს, მოწვეული პერსონალის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად განსაზღვრას. ასევე რეცენზენტად უშვებთ დოქტორანტს, მისი თქმით, სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში თამასა არის ძალიან დაწეული, ასევე საუბრის დასასრულს მან აღნიშნა, რომ პროგრამის ინტერნაციონალიზაცია საერთოდ არ ჩანს.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე დაინტერესდა ასევე სილაბუსებში საკითხების გადაფარვასთან დაკავშირებით, მან კითხვით მიმართა ექსპერტებს, მისი თქმით, რეალურად მხოლოდ ერთი სილაბუსის შიგნით არის თემების გამეორება თუ სხვადასხვა საგანს შორის გადაფარვასთან გვაქვს საქმე? ასევე, მან კითხვით მიმართა დაწესებულებას,

საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის განმარტებით სამაგისტრო თემის სათაური არ არის აუცილებელი იყოს ერთიდაგივე, თუმცა არსებითი და მნიშვნელოვანი არის შინაარსი. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, რა იყო პრობლემა თემების მსგავსება თუ პლაგიატი? ასევე, მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, რამხელა უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის ორიგინალი ტექსტი და რომელი სისტემით მუშაობენ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მან აღნიშნა, რომ პროგრამა არის ქართულნეოვანი და უცხოელები, რომლებიც ამ პროგრამაზე აპირებენ სწავლას მოეთხოვებათ ქართული ენის ცოდნა, ის დაინტერესდა ორი თუ სამი კურსის ინგლისურენაზე სწავლება რას ემსახურება.
საბჭოს წევრი ანზორ ბერიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, ის დაინტერესდა რამდენად პასუხობს სამაგისტრო დონეს აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი?

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა სთხოვა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ ის ძირითადი არგუმენტები, რითაც მეორე სტანდარტი შეფასდა შეუსაბამოდ, როგორც მან აღნიშნა, პირველი

მეორე და მეხუთე სტანდარტები ყოველთვის ლოგიკურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. მისი თქმით ისინი ვერ ისაუბრენ პროგრამის მიზანსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე და პროგრამის სწავლის შედეგებზე თუ არ გვექნება შესაბამისი მეთოდოლოგია და ეს ყველაფერი არ გაკონტროლდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებიდან გამომდინარე. მისი თქმით, თუ მეტწილად შესაბამისობაშია რესურსები და ხარისხის ნაწილი, მეორე სტანდარტის შეუსაბამობაში გატანის მიზანშედეგობრიობა ახსნილია იმით რასაც ფაქტობრივი გარემოებით დასკვნაში ვხედავთ და ვკითხულობთ, ნუ აქ ძირითადად შეფასების ნაწილზეა გამახვულებული ყურადღება და იმ მეთოდოლოგიაზე თუ როგორ ვახდენთ სამაგისტრო საფეხურზე სწავლებას, კვლევის განხორციელებას და შემდგომ მის შეფასებას, თუ არის კდიევ გამოხატული რაიმე ხასიათის დამატებითი გარემოებები, რამაც ამ მიმართულებით წაგვიყვანა? ასევე მან აღნიშნა, რომ შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში რის შედეგადაც დაასკვნა, რომ სამაგისტრო პროგრამის მიმართ ნამდვილად არსებობს ინტერესი. ის დაინტერესდა გასაუბრებების დროს ამ კუთხით რა გამოიკვეთა?

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის დიდი წვლილი აქვს ეროვნული უმცირესობების ქართულ საზოგადოების ინტეგრირების პროცესში. მან ყურადღება გაამახვილა 2.4 პუნქტზე, ის დაინტერესდა როდესაც ექსპერტებმა აღნიშნული პუნქტი შეაფასეს როგორც შეუსაბამო, ეს შეფასება მეოთხე პუნქტის ოთხივე კომპონენტს ფარავდა თუ შეფასება განაპირობა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომებმა. ასევე, ის დაინტერესდა ექსპერტებმა რამდენი სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განახორციელეს და რამდენში დაფიქსირდება აღნიშნული მდგომარეობა.

ექსპერტის განმარტებით, სტანდარტთა თანმიმდევრობა თავისი სიმძიმით ესეთია, პირველი ეს არის მიზანი შედეგი, მეორე მისი მიღწევის და განხორციელების მეთოდები რომელიც იწყება სასწავლო კურსებიდან, პროგრამის სტრუქტურა და აშ. სააკრედიტაციო პროცესი მისი თქმით იმდენად რთულია, რომ ერთი სტანდარტის შეუსაბამობა პირდაპირ ვერასდროს იქნება პირდაპირ ბმაში აპრიორი სხვა სტანდარტის შუესაბამობაზე. მისი თქმით გადასახედია მიზანიც ისევე როგორც სწავლის შედეგი, თუმცა აღნიშნული სრულ შეუსაბამობაში არ არის. როგორც მან აღნიშნა, სწავლის შედეგი რომ ნაწილობრივ შეუსაბამობაში ყოფილიყო ან შესაბამისობაში, რუკის მიხედვით ორ ქვესტანდარტიანია და მაინც მეტწილად შესაბამისობა გამოვიდოდა. რაც შეეხება ხარისხის მექანიზმებთან ნაწილობრივ შეუსაბამობასა და მეორე სტანდარტთან შეუსაბამობას, მისი თქმით, მეორე სტანდარტი არის ყველაზე მოცულობითი შესაბამისად რუკის მიხედვით თუ რომელიმე სტანდარტი არ აკმაყოფილებს მთლიანად სტანდარტი ფასდება შეუსაბამოდ. მან აღნიშნა რომ სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისას მხოლოდ ეს ნაშრომები არ იქნა ნანახი, გადამოწმებული იქნა სხვა ნაშრომებიც რომელიც დასკვნის ტექსტში არის ასახული. სხვა სამაგისტრო ნაშრომებთან მიმართებით ექსპერტის განმარტებით წარმოდგენილია მოსაზრება რომ ისინი არ არის უახლეს ლიტერატურაზე დაყრდნობილი, ძირითადად რუსული ლიტერატურაა მოცემული, რაც გადის უახლესი მიღწევების უგულებელყოფაზე და ა.შ. მისი თქმით, უშუალოდ კონკრეტული სამაგისტრო ნაშრომები, განსაკუთრებულად იმიტომ მოექცა ყურადღების ცენტრში, რომ სახელმძღვანელოები და ხელმძღვანელები იყვნენ ერთიდაიგივე. სტრუქტურიდან დაწყებული მოცულობით დასრულებული ერთმანეთს ემთხვეოდა. ეს არ არის მხოლოდ ფორმალური მხარე რომ მოწმის გამოკითხვის და დაკითხვის სპეციფიკა და თავისებურებები დაემთხვა სამაგისტრო ნაშრომის. პირდადად ექსპერტის განმარტებით მხოლოდ სათაურის დამთხვევაში პრობლემას ვერ ხედავს.

სტუდენტი ექსპერტის განმარტებით, თემის დამუშავების პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებული იყო სტუდენტზე. მისი განმარტებით ერთნაირი სათაურები ნიშნავს იმას, რომ მაქსიმალურად ცდილობენ თემის ხელმძღვანელები გაუმარტივონ სტუდენტებს ეს

საქმიანობა. მან ასევე გაახმოვანა სტუდენტების პოზიცია და აღნიშნა, რომ სტუდენტები თვლიან რომ ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში იღებენ განათლებას. აკადემიური პერსონალი ჩამოდის თბილისიდან და უწევს პერსონალს დამატებითი სალექციო კურსებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს. მათი განმარტებით, სტუდენტების დამოკიდებულება არის მაქსიმალურად გამჭვირვალე.

ორი საგნის ინგლისურ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე პასუხი გასცა სტუდენტმა ექსპერტმა, მან აღნიშნა, რომ ინტერნაცინალიზაციიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია არსებობდეს უცხოენოვანი საგნები ოღონდ რა თქმა აღნიშნული საგნები უნდა იყოს არჩევითი და არა სავალდებულო.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა იმის შესახებ თუ პროცენტულად რამდენ სამაგისტრო ნაშრომში დაფიქსირდა აღნიშნული პრობლემა და ჰქონდა თუ არა ამას მასშტაბური ხასიათი? თუ არის გარკვეული შემთხვევები? აღნიშნულ კითხვაზე სტუდენტმა ექსპერტმა გასცა პასუხი, მისი თქმით, აღნიშნულ პრობლემას ადგილი ჰქონდა მეტწილად და ყველა მიმართულებით ხედავენ აღნიშნულ პრობლემას, მისი განმარტებით ნაშრომები ატვირთულია დასკვნაში სადაც საკითხები მეტი სიზუსტითაა ჩაშლილი.

საბჭოს წერვმა, დიანა მჭედლიშვილმა დაწესებულებას მიმართა კითხვით, ის დაინტერესდა დაწესებულება თუ გაეცნო ექსპერტთა მიერ დადებულ დასკვნას და ჩაატარეს თუ არა კვლევა რაოდენობრივ მაჩვენებელთან დაკავშირებით?

დაწესებულების წარმომადგენელმა, სამართლის დეკანმა აღნიშნა, რომ კონკრეტულად მისი დატვირთვა არ სცდება 10 საათს, მისაღებ გამოცდაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის საფუძველზე სტუდენტობის მსურველი მოდის და გადის წერით გამოცდას სპეციალიზაციის მიმართულებით სისისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში, მისი თქმით, თუ სტუდენტი დააგროვებს 51 ქულას, ის უკვე ირიცხება სისხლის სამართლის სამაგისტრო გამოცდაზე. მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ დაშვების წინაპირობებში ჰქონდეთ ინგლისური ენის B2 დონე და არა უცხო ენის. როგორც მან აღნიშნა, თუ ისინი მოახდენენ უცხო ენაზე რომელიმე კურსის წაკითხვას, სასწავლო კურსი არამარტო ინგლისურ არამედ ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენაზეც უნდა ისწავლებოდეს. რაც შეეხება 5 მიზანსა და 6 შედეგს, მან აღნიშნა, რომ საღეზეა ტექნიკური ხარვეზი. მისი თქმით, სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობას უწევენ სისხლის სამართლის მოქმედი პროფესორები, ვაკანტური საათების გამოჩენის შემთხვევაში დაწესებულება ირჩევს გარედან შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, მისი თქმით, დოქტორანტს მათთან არასოდეს გაუწევია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

საბჭოს წევრი თამარ ჩხეიძე დაინტერესდა, თუ კი ექსპერტებმა გამოავლინეს თანხვედრა ნაშრომების გაცნობის დროს, რატომ წერია რომ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში დაწესებულებამ მიიღოს შესაბამისი ზომები.

ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ არის პლაგიატის დამდგენი კომისია, ექსპერტები აფასებენ იმ მოცემულობას რაც მათ დაწესებულებაში ხვდებათ. მათ, 46 ნაშრომიდან შეამოწმეს 9 საიდანაც 8 - ში დადასტურდა პრობლემა.

დაწესებულებამ განმარტა, რომ აღნიშნული ვალდებულებები მეტ პასუხისმგებლობას აკსირებს მათ, მისი თქმით, ინსტიტუცია დიაწყებს ორმოცდაცხრავე სამაგსიტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებას. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, მათ ბოლო ხუთი წლის

განმავლობაში დაცული ნაშრომების სათაურების გამეორების უფლებამოსილებაც კი არ აქვთ, ხოლო 5 წლის შემდგომ იგულისხმება, რომ შესაძლოა გარკვეულ სიახლესთან გვქონდეს საქმე. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულება დაინტერესებულია ამ პრობლემის ბოლომდე ათვისებით. უნივერსიტეტში შექმნილია მოკვლევის ჯგუფი, რომელსაც ხარისხის სამსახური ხელმძღვანელობს. ეს პროცესი მისი თქმით დღეს არ დამთავრდება, არამედ გაგრძელდება მის აღმოფხვრამდე. დაწესებულების წარმომადგენელმა საუბარის დაასრულს საბჭოს სთხოვა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინონ, რომ სასწავლო პროცესი არ შეაჩერონ და შუა სემესტრში მყოფ სტუდენტებს ჰქოდეთ შესაძლებლობა დაასრულონ სწავლა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:11
დასრულების დრო: 17:52

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

საბაკალავრო პროგრამა
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა ერთი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის უსდ-მ შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ შეფასებების ვალიდურობას, სანდოობას და გამჭვირვალობას. მიზანშეწონილია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი დამატებითი გამოცდების გზით;
2. რეკომენდირებულია ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დაზუსტდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სასწავლო კურსი „სახელშეკრულებო სამართალი“, მაშინ როდესაც კურიკულუმის თანახმად ორივე სასწავლო კურსი ერთ სასწავლო სემესტრში ისწავლება. სასწავლო კურსის „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები“-ს დაშვების წინაპირობად სავსებით საკმარისია განისაზღვროს სასწავლო კურსი „ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)“. დაზუსტებას მოითხოვს სასწავლო კურსის „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“-ს დაშვების წინაპირობებიც. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს მხოლოდ სასწავლო კურსი „ადმინისტრაციული სამართალი 2 (ადმინისტრაციული წარმოება)“, რაც აშკარად არასაკმარისია ამ სასწავლო კურსის შესასწავლად. აღნიშნულ სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობად ასევე უნდა განესაზღვროს სასწავლო კურსი „სამოქალაქო სამართლის პროცესი - 1“. ამასთან, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 “-ის დაშვების წინაპირობად სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“-ს ნაცვლად უნდა

განისაზღვროს სასწავლო კურსი „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1“, ვინაიდან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცოდნა აუცილებელი წინაპირობაა ამ სასწავლო კურსით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების შესასწავლად;
3. რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამამ სავალდებულოდ მოიცვას ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებაც;
4. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში მე-14 და მე-15 თემები ან მე-13, მე-14 და მე-15 თემები ან მე-13 და მე-14 თემები, მათ შორის, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება;
5. რეკომენდირებულია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან;
6. პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა;
7. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმა გადაიხედოს და სწორად გაიწეროს როგორც შეფასების მეთოდები, ისე განხორციელების დრო, შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები;
8. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში;

რჩევები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან;
2. საერთაშორისო ბაზრის დამსაქმებელთა მოთხოვნების შესატყვისი ხარისხის, სათანადო კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირველი საფეხურის დონის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში აისახოს საერთაშორისო ტენდენციებიც და სტუდენთა ინტერნაციონალიზაციის საკითხებიც;
3. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა არის ქართული, სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში და შედეგებში სიტყვები „მშობლიურ ან/და ინგლისურ ენებზე“ შეიცვალოს სიტყვებით „ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე“;
4. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობა (20 ECTS), თუნდაც ისეთი სავალდებულო კურსების ხარჯზე, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, სასჯელის შეფარდება, სასჯელაღსრულებითი სამართალი და

საარჩევნო სამართალი. აღნიშნული ცვლილება უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სფეროში;

5. პროგრამის თავისუფალი კომპონენტი შედგება ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სავალდებულო სასწავლო კურსებისაგან. შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი არ წარმოადგენს თავისუფალ კომპონენტს. თავისუფალი კომპონენტის შემთხვევაში სტუდენტს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის თავისუფალ კომპონენტს სასურველია ეწოდოს ზოგადტრანსფერული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები ან არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები;

6. სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო კურსი „ინფორმატიკა“ სასურველია სტუდენტს უვითარებდეს ასევე ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემების, სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით საჭირო ინფორმაციის, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეების მოძიების უნარს;

7. საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, სასურველია 6-8 სასწავლო სემესტრების განმავლობაში სასწავლო რესურსებში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა;

8. სასურველია, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მთელი რიგი სასწავლო კურსების სილაბუსები („შესავალი სამართალმცოდნეობაში“, „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“, „ადამიანის ძირითადი უფლებები“, „ადმინისტრაციული სამართალი - საჯარო მმართველობა“, „ადმინისტრაციული სამართალი - ადმინისტრაციული წარმოება“, „შრომის სამართლი”, „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“, „ვალდებულებითი სამართლი (ზოგადი ნაწილი)”, „სახელშეკრულებო სამართლი”, „სამოქალაქო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა”) გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის განახლებისა და მათში უახლესი სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით;

9. სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულ თითოეულ განსახილველ თემასთან მიმართებით განსაზღვრისას მხოლოდ ამ თემისათვის რელევანტური სავალდებულო ლიტერატურა. მაგალითად, სასწავლო კურსის „საგადასახადო სამართალი“-ს სილაბუსში თხუთმეტივე განსახილველ თემასთან მიმართებით მითითებულია სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც განსახილველ თემასთან მიმართებათ ირელევენტურია;

10. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა სრულად უნდა გამოიყენებოდეს ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის შესწავლისათვის და ის ფორმალურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს. მაგალითად, სასწავლო კურსის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია მ. ლომსაძის სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, (თბ., 2020), მ. ტურავას სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თბ., 2013) და ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მაშინ როდესაც ამავე კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკასთან მიმართებაში სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ მ. ლომსაძის სახელმძღვანელო გამოიყენება;

11. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პრაქტიკული კურსის სახით ითვალისწინებს იურიდიული კლინიკას, რაც პროგრამის აუცილებელ კომპონენტია. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის თეორიული და

პრაქტიკული ცოდნის გაუმჯობესებას და საჯარო სკოლებში ეფექტური სამართლებრივი განათლების დანერგვას. იურიდიული კლინიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს სამართალის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ინტერაქტიული მეთოდიკის გამოყენებით ძირითადი სამართლებრივი საკითხების სწავლებას. მიზანშეწინილია სამართლის საბაკალავრლო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის აღნიშნულ მოდელს „პრაქტიკული კურსის - იურიდიული კლინიკის“ ნაცვლად ეწოდოს პრაქტიკული სამართლის კლინიკა (Street Law) და პროგრამის სავალდებულო კომპონენტიდან გადატანილი იქნას პროგრამის არჩევით კომპონენტებში. ამასთან, აღნიშნული კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით უსდ-მ უნდა გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები საჯარო სკოლებთან;

12. სასურველია უსდ-მ შეიმუშაოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა მაჩვენებლის გამოვლენას და ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით დაგეგმავს შესაბამისი აკადემიური მხარდაჭერის აქტივობებს (ტუტორინგი, სასემინარო მუშაობის მოცულობის ზრდა, სპეციფიკური წერითი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვა);

13. სასურველია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების მოქნილი მექანიზმი, მოახდინოს აღნიშნული მექანიზმის სასწავლო პროცესში ინტეგრირება და აღნიშნულის შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;

14. სტუდენტის მიერ უცხოური სამეცნიერო წყაროების კვლევით პროცესში ფართოდ გამოყენების მიზნით, სასურველია უსდ-მ შეიძინოს სამართალის მიმართულების ისეთი აქტუალური რესურსები, როგორიცაა home.heinonline.org და www.lexisnexis.com. აღნიშნული რესურსების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს თუნდაც სხვა უნივერსიტეტთან თანამონაწილეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

სამაგისტრო პროგრამა

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

რეკომენდაციები:

1.რეკომენდირებულია სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, არა ზოგადად, არამედ უფრო ნათლად და დეტალურად ასახავდეს, კონკრეტულად თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს საგანმანათლებლო პროგრამა;

2.პროგრამის სწავლის შედეგები ფოკუსირებული უნდა იყოს სტუდენტის მიღწევებზე და ასახავდეს არა მხოლოდ იმ უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას, არამედ იმ ცოდნასაც, რომელიც სისხლის სამართლის მაგისტრის ხარისხის მქონე პირს უნდა გააჩნდეს პროგრამის დასრულებისას. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებშიაისახოს თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს სტუდენტმა სასწავლო პროცესის დასრულებისას;

3. რეკომენდირებულია პირდაპირი მეთოდებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის ის სასწავლო კურსები ან კომპონენტები, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება და არა ე.წ. ნებაყოფლობითი კრებსითი გამოცდების გზით;

4. რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები განისაზღვროს უფრო კონკრეტულად და გამჭირვალედ. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის ცოდნაც;

5. სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსში (ს/კ „სამართლებრივი კომუნიკაცია“, ს/კ „პროფესიული ეთიკა“, ს/კ „ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოვება“, ს/კ „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები/სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები“, ს/კ „დანაშაულის მოძღვრება“, ს/კ „სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა“, ს/კ „მტკიცებითი სამართალი“, ს/კ „სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია“, ს/კ „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“, ს/კ „ქმედების იურიდიული შეფასების (სუბსუმციის) და დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები“, ს/კ „საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა“, ს/კ „ევროპული სისხლის სამართალი“, ს/კ „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“) მე-13 და მე-14 თემები, ხოლო სასწავლო კურსში „დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები“ მე-11 და მე-12 თემები, განსახილველი საკითხები და სასწავლო ლიტერატურა აბსოლიტურად იდენტურია, რაც ინტერვიუს პროცესში ვერ იქნა ახსნილი და დასაბუთებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების სილაბუსებში განსახილველი საკითხები გადანაწილდეს ისე, რომ აღმოიფხვრას მათი დუბლირება;

6. სასწავლო კურსი - პროფესიული ეთიკა - მოიცავს მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლებას. სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა გათვალისწინებით რეკომენდირებულია ადვოკატის, პროკურორის, ნოტარიუსის საქმიანობის ეთიკური პრინციპების სწავლება გადატანილი იქნეს საბაკალავრო საფეხურზე, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებისა და მოსამართლის ღირებულებებითი ასპექტების სწავლებაზე;

7. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის დარგობრივი მახასიათებელის თანახმად, სტუდენტი ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული სამართლის განვითარებაზე, სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია სავალდებულო სასწავლო კურსის „ევროკავშირი, ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოვება“ ნაცვლად, სტუდენტებს შეეთავაზოთ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი - „ევროპული სისხლის სამართალი“, რომლის მიზნები,სწავლის შედეგები, თემატიკა და ლიტერატურა სრულიად შეესაბამება სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს;
8. მთელ რიგ სასწავლო კურსებში (დანაშაულის მოძღვრება, მტკიცებითი სამართალი, შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი, საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა, ევროპული სისხლის სამართალი) დასაზუსტებელია სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში. კერძოდ, საკითხის ანალიზი და სინთეზი - ეს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებია. რეკომენდირებულია აღნიშნულ სასწავლო კურსებში გასწორდეს სწავლის შედეგები პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში ბლუმის განახლებული ტაქსონომიის გათვალისწინებით;
9. სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნათა გათვალისწინებითა და სამაგისტრო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი, რომელიც დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების პროცედურებსა და შეფასების კრიტერიუმებს, ასევე ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესებს, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, მათ შორის, ხელმძღვანელის მხრიდან კვლევის მიმდინარეობაზე პერიოდული ზედამხედველობისა და სტუდენტისთვის უკუკავშირის მიწოდების პროცედურებს. აღნიშნულმა წესმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სისხლის სამართლის აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის ამოცნობა, მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზების შემუშავება, სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვა, კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების სისტემატიზაცია და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის შემუშავება;
10. რეკომენდირებულია უსდ-მ, უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად, შეისწავლოს ნ. კ.-ის სამაგისტრო ნაშრომი „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია“ (2018 წელი), ა.გ.-ის სამაგისტრო ნაშრომი „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაცია“ (2017 წელი), გ.ჩ.-ის სამაგისტრო ნაშრომი „მოწმის გამოკითხვისა და დაკითხვის წესი სისხლის სამართალწარმოებისას“ (2019 წელი), მ.ლ.-ის სამაგისტრო ნაშრომი „მოწმის დაკითხვისა და გამოკითხვის თავისებურებანი სისხლის სამართალში“ (2018 წელი), მ.გ.-ის სამაგისტრო ნაშრომი „აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში“ (2020 წელი), ლ.ზ.-ის სამაგისტრო ნაშრომი „აღკვეთის ღონისძიებები სისხლის სამართლის პროცესში“ (2019 წელი) და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;
11. რეკომენდირებულია უსდ-მ გაითვალისწინოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და სამართლის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნები და სისხლის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის ფორმატს, ფორმატის შესაბამისად სტუდენტთა რაოდენობას, პარტნიორი ორგანიზაციების ადამიანურ, მატერიალურ რესურსებსა და სხვ. ამასთან, ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს მხარეთა უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, სტუდენტების სავარაუდო რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა;

12. რეკომენდირებულია სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის როგორც აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს, ასევე სტუდენტებს გააჩნდეთ საკანონმდებლო ბაზასთან უშუალო წვდომის შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს „საკანონმდებლო მაცნე“- ს ის ვერსია ან ჩართოს ავტორიზებული მომხარებელების ის რაოდენობა, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს დამოუკიდებლად და შეუფერხებლად ისარგებლონ ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან;
13. პროგრამის საჭიროებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ გაზარდოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი ფინანსური რესურსების მოცულობა;
14. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმაში დეტალურად აისახოს როგორც შეფასების მეთოდები, ისე შეფასების განხორციელების დრო, შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები;
15. რეკომენდირებულია, ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება გაიმიჯნოს კოლეგიალური, განმავითარებელი შეფასებისაგან და აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები და მათი შესრულება აისახოს თვითშეფასების ანგარიშში.
16. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და სასწავლო კურსებით ფორმირებული ბადის მონიტორინგის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია უსდ-მ განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის შედარებითი ანალიზი უცხო ქვეყნების უნივერსიტეტების (მათ შორის, პარტნიორი უნივერსიტეტების) ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის და ამავე დროს, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე, მიმდინარე სასსწავლო წლის აკრედიტებულ რეჟიმში დასრულების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 3^5 პუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5- ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 3^2 და მე-5 პუნქტების, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სისხლის სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

დაწესებულების შუამდგომლობისა და სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო წელი **(2021 წლის 04 მარტიდან ამავე წლის 9 ივლისამდე)** დაასრულონ აკრედიტაციის რეჟიმში.

საბჭოს წევრებმა გამოხატეს სურვილი, ოქმში დაფიქსირებულიყო ჩანაწერი, იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებას ხელმეორედ შემოიტანს აღნიშნულ პროგრამას აკრედიტაციისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილოს და შეამოწმოს საშეღავათო პერიოდში დაცული სამაგისტრო ნაშრომები.

მეოთხე საკითხი: ა (ა) იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთ აშორისო სამართლის“ ინგლისურენოვანი სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო სამართალი (ინგლისურენოვანი)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 27 ნოემბრის N716 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0108, ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქუჩა N27
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა თეონა მატარაძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს შემოუერთდა ანა ნაცვლიშვილი.
საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ.

მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა ორი საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 2 დეკემბერს. მათ მადლობა გადაუხადეს ინსტიტუციას ყველაა აუცილებელი პირობის შექმნისათვის, ექსპერტმა წარმოადგინა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროს გათვალისწინებით, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების დაბალანსება ან/და ახალი კომპონეტების დამატება და შესაბამისი კომპეტენციების პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბება; 2.2. სტანდარტთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაციები:
- საერთაშორისო სამართლის სფეროს, კვალიფიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დარგების მეშვეობით პროგრამის გაძლიერება;
- არჩევით ბლოკში საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებით განისაზღვროს მინიმალური ასათვისებელი საკრედიტო მოცულობა;
- კვალიფიკაციის გათვალისწინებით დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის თემის საერთაშორისო ელემენტის შემადგენლობით შერჩევის მექანიზმი;
- საერთაშორისო საჯარო სამართლის სასწავლო კურსის ჩანაცვლება იგივე სფეროს სამაგისტრო საფეხურისთვის შესატყვისი სასწავლო კურსით;
- შედარებითი კორპორაციული სამართლის სასწავლო კურსის სავალდებულო სტატუსის შეცვლა, არჩევით ბლოკში განთავსება. შინაარსისა და სწავლის შედეგების ადაპტირება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან;
- სამართლებრივი მართლწერის სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება და სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.;
- აქტიური პრაქტიკის წარმატებით განხორციელების მიზნით პროგრამის რელევანტურ ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერება და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება;

- მოხდეს სასწავლო პრაქტიკის სილაბუსის სწავლის მიზნებისა და შედეგების კორექტირაბა და მასში მკაფიოდ და დეტალურად განისაზრვროს პროგრამის კვალიფიკაციის შესატყვისი მიზნები და კომპეტენციები;
- მიზანშეწონილია პარტნიორ დამსაქმებლებთან მემორანდუმების განახლება და ასევე ისეთ პარტნიორ ორგანიზაციათა წრის გაფართოება, რომლებიც მჭიდრო კავშირში იქნებიან საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთა დასაქმების სფეროებთან;
- უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს აკადემიური პერსონალის რესურსის თემის ხელმძღანელებად გამოყენებაზე და თუ არსებული რესურსი არასაკმარისია მაშინ იზრუნოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე;
- საჭიროა უნივერსიტეტში მოქმედ „სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში“ ნათლად გამოიკვეთოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხი;
- მოხდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა და გონივრული შესაბამისობა სტუდენტების რაოდენობასთან;
- პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი ბირთვი დაკოპლექტდეს აკადემიური პერსონალისაგან;
- მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და საუნივერსიტეტო მარეგულირებელ აქტებში მკაფიოდ გაიწეროს აკადემიური და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პირების კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში (მათ შორის საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და კონფერენციებში) ჩართვის აუცილებლობა, მათი წახალისების, ხელშეწყობის მექანიზმები და მოხდეს განხორციელებული საქმიანობის, მიღებული შედეგების მონიტორინგი და ანალიზი;
- საუნივერსიტეტო მარეგულირებელ აქტებში მკაფიოდ გაიწეროს და ჩამოყალიბდეს პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორიან და რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობა;
- გაძლიერდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში;
- პროგრამის გარე შეფასების ნაწილში გაძლიერდეს/გაუმჯობესდეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების ჩართულობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ პროგრამა ჩამოყალიბდა 2005 წელს. მისი მიზანი ყო პასუხი გაეცა პასუხი გაეცა შრომის ბაზარზე არსებული მზარდი მოთხოვნისთვის ინგლისურენოვანი იურსიტებზე. მათ გადაწყვიტეს აღნიშნული საკითხი დაეკმაყოფილებინათ ორი თვასაზრისით. გადაწყვიტეს აეღოთ წამყვანი მიმართულების თვალსაზრისით საჯარო საერთაშორისო სამართლის საგნები, ხოლო დანარჩენი შეევსოთ დამატებით სხვა მოთხოვნადი საგნებით. პროგრამის ხედვა მათი განმარტებით აგებულია იმაზე, რომ საჯარო საერთაშორისო სამართალი იყოს წამყვანი საგანი, თუმცა კურიკულუმს გააჩნია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არის შედარებითი სამართლის ასპექტი, რაც გამოიხატება იმაში რომ რიგი საგნები როგორც არჩევით ისე სავალდებულო საგნები მოდის კერძო სამართლიდან, თუმცა თავისი შინაარსით ეს არ არის ეროვნული სამართალი, ეს არის cross border, შეეხება ეროვნულ კანონმდებლობასთან შეჯახებას და სასამართლო პრაქტიკების მიღწევის შეჯერებას. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე მათი მიზანია, რომ ასეთი მოდელით გააგრძელონ საქმიანობა.

მან განმარტა ის კითხვა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰქონდათ დაწესებულებასთან მიმართებით დასმული, თუ რატომ არ ჰქონდათ არჩევით საგნებში ასახული მინიმალური საერთაშორისო საჯარო სამართლიდან აღებული საგნები. ამაზე მისი თქმით შესაძლოა გონივრული კომპრომისის მიღწევა. მისი თქმით, ყოველთვის იარსებებს ისეთი ექსპერტი, რომელსაც ექნება განსხვავებული გემოვნება და აზრი.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგსიტრო ნაშრომს, ინსტიტუციამ აღიშნა, რომ მათ ესმით აღნიშნული რეკომენდაცია და გარკვეულწილად იზიარებენ, ვინაიდან სამაგისტრო საკითხების განსაზღვრვა, დამტკიცება და სტუდენტის მიერ არჩევა პრაქტიკაში სხვანაირად ხდებოდა, თუმცა ფურცელზე არ იყო მსგავსად გადმოტანილი. დაწესებულება მზადაა ასახოს ის რეალობა რომელიც პრაქტიკაში ხორციელდება. როგორც მან აღნიშნა, სადიპლომო ნაშრომების არჩევა ხდება ორი მნიშვნელოვანი კრიტერიუმით, ერთი არის ის რომ მაგისტრმა კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაუთმოს საკითხის საჯარო სამართლებრივ განზომილებას. ან შესაძლოა საკითხს არ ქონდეს საერთაშორისო საჯარო სამართლებრივი განზომილება, თუმცა განხილული უნდა იყოს შედარებით საართებრივ პერსპექტივაში, რათა დააკმაყოფილოს საერთაშორისო კრიტერიუმი.

შემდეგი რეკომენდაცია დაწესებულების განმარტებით ეხებოდა შედარებით კორპორაციული სამართლის ამოღებას სავალდებულო საგნებიდან და გადატანას არჩევით საგნებში. მისი თქმით საგნის ამოღება ერთისმხრივ მარტივი პროცედურაა, თუმცა დაწესებულებას, მათი ისტორიული მიზნებიდან გამომდინარე არ სურს ამ საკითხის დათმობა. ეს საკითხი მათი თქმით ყოველთვის საინტერესო იყო მათი სტუდენტებისთვის. ასევე, ის ვერ დაეთანხმება ამოსაზრებას, რომ ამ საგნის სილაბუსი ფარავს ბაკალავრიატს, რადგან აღნიშნული საგანი სამაგისტრო დონეზე ისწავლება ინგლისურად. რაც შეეხება პრაქტიკებსა და მემორანდუმებს,''პრაქტიკის რელევანტურობა მისი მჭიდრო კავშირი შესაბამის მიზნებთან და მემორანდუმების განახლება'', დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ განახლდა რამდენიმე მემორანდუმი, პრაქტიკის არჩევის დროს დაწესებულება ირჩევს ისეთ სუბიქტებს, რომლებიც შეძლებენ შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავებას სტუდენტებისთვის. შესაძლოა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ჰქონდეთ საჯარო საერთაშორისო ურთიერთობასთან შეხება თუმცა, რაღაც პერიოდულობით შესაძლოა მათთან იხილებოდეს ისეთი საკითხი, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო საჯარო სამართლებრივი შეფასება. ისინი არჩევენ ისეთ სუბიექტებს, რომლებთანაც შეიძლება ინტენსიურად არ ხდებოდეს საჯარო სამართლის განხილვა, თუმცა იქ სტუდენტები მიიღებენ საჯარო დოკუმენტების შედგენის გამოცდილებას, ასევე სადაც ისინი შეძლებენ იურიდიული უნარჩვევების გამომუშავებას, არგუმენტირებული პოზიციის ჩამოყალიბებას, მეორე მხარესთან ურთიერთობას და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო საგანი გახდა საერთაშორისო სამართალი. მიუხედავად ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ სამაგისტრო პროგრამისთვის ამ კურსის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. მათი განმარტებით არსებითად განსხვავდება ბაკალავრიატის დონეზე შეთავაზებულისგან რამდენიმე ფაქტორის გამო: პირველი ეს არის ის, რომ სამაგისტრო დონეზე სწავლა მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. ეს სასწავლო კურსი ძირეულად განსხვავდება საერთაშორისო საჯარო სამართლის იმ კურსებისაგან, რომლებიც გვხვდება ბაკალავრიატის დონეზე საქართველოში, ეს არ ფიკუსირდება ექსკლუზიურად არსებითი წესების ან ნორმების სწავლებაზე, ეს მიმართულია რომ სტუდენტებმა შესძლონ და დაინახონ პოლიტიკის ეკონომიკის ისტორიის და კულტურის როლი საერთაშორისო სამართელბრივი ნორმების შექმნასა და შესრულებაზე და სასამართლო პრაქტიკაზე. მისი თქმით ეს არის ინტერდისციპლინარული კურსი, რომლისთვისაც აუცილებელი არის იმაზე მეტი განათლება ვიდრე ბაკალავრიატის დონეზე შეიძლება ჰქონდეს სტუდენტს. ეს ინტერდისციპლინარული მიდგომა სტუდენტს ეხმრება გააცნობიეროს რატომ ასრულებენ ან არ ასრულებენ სახლმწიფოები აღნიშნულ წესებს და დაინახოს წესების რეალური გავლენა გლობალურ მართველობაზე, რაც ქვეყნის მართვისთვის ასეთი მნიშვნელოვანია. ეს კონკრეტული კურსი წარმოადგენს ჯიპას სასწავლო პროგრამის სხვა საგნების წინამორბედს,

მაგალითისთვის ''ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი'' ''საერთაშორისო სავაჭრო სამართალი'' ''საერთაშორისო სისხლის სმაართალი'',ამ კუთხითაც მიაჩნიათ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურსია რომლის დატოვების სურვილიც აქვს ინსტიტუციას.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ალბათ კომისიას მიაჩნია, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს ბაკალავრიატიდან უნდა ჰქონდეს მიღებული საკმარისი ცოდნა საერთაშორისო სამართლის ისეთ საგნებზე, როგორიცაა: სისტემა, ბუნება, ისტორია, საერთაშორისო სამართლის წყაროები, ჩვეულება, თუმცა საგანმანათლებლო სფეროში ჩატარებულმა უამრავმა კვლევამ, რომელიც არ მოიცავდა მხოლოდაღნიშნულ სპეციალობას, აჩვენა, რომ ყველა წარჩინებული სტუდენტებიც კი ვერ ახერხებენ ბაკალავრიატის დონეზე მიღებული ცოდნის სრულ რეტენზიას. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი აღნიშნული საგნის სამაგისტრო დონეზეც გათვალისწინება.

რაც შეეხება სამართლებრივ მართლწერას, დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, თუ რატომ შეიქმნა თავდაპირველად ''Legistlation drafting''-ი სასწავლო კურსად, მისი თქმით, თავიდან ეს იყო გაერთიანებული კლასტერული კურსი, რომელიც არ იყო ორ სემესტრიანი იყო 16 ან 18 კვირიანი კურსი, რომელიც იყო ''legal english and legistlation draftong'' იურიდიული ინგლისური და სამართლებრივი მართლწერა. ეს იყო სტუდენტების დაჟინებული მოთხოვნა, იმ მიზეზით რომ ძალიან უჭირდათ ''legistlation drafting''-ის გაკეთება, იმ სახელმძღვანელოთი, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა არჩეული, როგორც მან აღნიშნა, მათ სწორედ ამიტომ მოითხოვეს დაყოფა ორ ნაწილად. ინგლისური ენა და ეს ტექნიკა ინსტიტუციის მხრივ იმდენად ახალი და განსხვავებული იყო, რომ მიიღეს feedback-ი რომ ესე ჯობდა აღნიშნული სიტუაციის წარმართვა.

ექსპერტის განმარტებით არსებობს ჩარჩო, აკრედიტაციის სტანდარტი, დარგობრივი მახასიათებელი, მისი თქმით, გამოსავალი არ არის საბაკალავროს დონეზე ვერ ათვისების გამო კონკრეტული თემების სამაგისტროზე გაგრძელება. ექსპერტმა დაადასტურა, რომ შესაძლებელია აღნიშნულის სწავლა მაგისტრატურაზეც, თუმცა შეთავაზებული უნდა იყოს საგნად. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ის პატივს სცემს დაწესებულების დისკრეციას, ეს პროგრამა სიცოცხლისუნარიანი და ბაზრისთვის საკმაოდ მნიშვნელოვნია.

ინსტიტუციამ ისაუბრა სამართელებრივი მართლწერის კურსის შესახებ, ეს კურსი ნამდვილად ეხმიანება თანამედროვე ეროვნული კანონდმებლობის განვითარების ტენდენციებსა და სრულყოფას და სწორედ ამიტომ ფიქრობენ, რომ სრულ შესაბამისობაშია იმ დარგობრივ მახასიათებლის მოთხოვნასთან, რაზეც აპელირება მოხდა ექსპერტთა ტავმჯდომარის მიერ. ეს კურსი არის ეკონომიკის თეორიის, პოლიტიკის თეორიის და სამართლის თეორიის სინთეზი, რომელიც კონკრეტული მეთოდოლოგიით აძლევს საშუალებას მაგისტრატურის სტუდენტებს, რომ გაითვალისწინონ და ისწავლონ drafting-ის პროცესში რა კრიტერიუმებს უნდა მიექცეს ყურადღება, იმისათვის რომ მოხდეს ტრანსფორმაციული კანონმდებლობის ან წესების შექმნა. ეს არის სრულიად განსხვავბეული რაც ისწავლება საქართველოში ბაკალავრიატის დონეზე.

დაწესებულებისთვის უცხოა მიდგომა, რომ შესაძლოა ბაკალავრიატზე ნასწავლი საგნის შემდგომ მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა არ მიეცეს ინსტიტუციას. შესაძლოა საგნობრივად, ტიტულით ერთმანეთს დაემთხვას, თუმცა აშკარად გაიყოფა ხარისხი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას შორის. დაწესებულებამ საბჭოს ყურადღება გაამახვილა, იმაზე რომ რიგი რეკომენდაციები ფარავენ ერთმანეთს, და მათ საბჭოს სთხოვეს ამოიღონ ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც ერთმანეთს ფარავენ, ან შეუცვალონ ფორმულირება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 2.4 სტანდარტთან და 3.1 სტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილი შეფასებები აქცენტს აკეთებენ კვალიფიკაციის შესაბამისი დარგის თანამშრომლობის გაფართოებაზე. ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ, მათი თქმით ამ

მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები და ექვს ახალ თანამშრომლობას მოაწერეს ხელი. სტუდენტებს ამით შესთავაზეს როგორც პრაქტიკული უნარჩვევები ისევე კარიერული გავითარებას შეუწყვეს ხელი. ის რომ სამ მემორანდუმს ვადა ჰქონდა გასული მათი მოსაზრებით არ უნდა გახდეს სტანდარტის დაბლა ჩამოწევის საფუძველი, არამედ აქცენტი უნდა გაკეთდეს შინაარსობრივ მხარეზე და არა ფორმალურზე. მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით არსებობს რეკომენდაცია იმის შესახებ რომ უნდა მოხდეს დარგის შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობა თვითშეფასების პროცესში თუმცა 5.2 სტანდარტის აღნიშვნით, ინსტიტუცია ხაზს უსვამს რომ ექსპერტი უნდა ჩაერთოს გარედან. ეს სტანდარტი უნივერსიტეტს უტოვებს სივრცეს რომ თავისი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში გადაწყვიტონ დარგის ექსპერტი თუ თითოეულ დარგში უფრო ვიწრო სპეციალიზაციის ადამიანი.

საბჭოს წევრის ანა ფირცხალაშვილის მოსაზრებით, ყველა მიმართულებით მკაცრად არის გამიჯნული საბაკალავრო სამაგისტრო თუ სადოქტორო სწავლება, არ შეიძლება სხვადასხვა კვლევების საფუძველზე ვთქვათ, რომ საბაკალავროს ვასწავლი სამაგისტროზე იმ მიზეზით, რომ ვერ ისწავლეს ბაკალავრიატზე. საბჭოს წევრის განმარტებით, თუ ვერ ისწავლეს შესაძლებელია რომ ინტიტუციამ გამოცდა ჩაატაროს და არ მიიღოს ისეთი სტუდენტი, რომელსაც წინარე ცოდნა არა აქვს. თუ მოვიდა სტუდენტი ვისაც ბაკალავრიატზე წარმატებით გავლილი აქვს აღნიშნული კურსი, ჩნდება კითხვა რატომ უნდა მოუწიოს მას აღნიშნული კურსის თავიდან გავლა. საერთაშორისო საჯარო სამართალში, საუბარი არ არის იმაზე თუ რა ჰქვია დისციპლინას, საუბარია რა ისწავლება ანუ რა არის თემატიკა და ტემატიკა სწორედ ის არის, რაც უნდა ისწავლებოდეს ბაკალავრიატში (ცნებები,განმარტებები,საერთაშორისო ორგანიზაციები,ზოგადი მიმოხილვა) ამ ცოდნით სტუდენტი უკვე უნდა მოვიდეს დაწესებულებაში, თუ არ მოვიდ არ უნდა იქნეს მიღებული, ხოლო თუ მოვიდა არ უნდა ასწავლოთ. საბჭოს წევრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს არის საბაკალავრო დონეზე შესაძენი ცოდნა. მისი თქმით, პროგრამის კონცეპტუალური გაგება მისთვის არ არის ბოლომდე ნათელი, როგორც მან აღნიშნა, შედარებითი სამართალი არ არის საერთაშორირსო სამართალი, ეს არის ორი სხვადასხვა ეროვნული სამართლის შედარება, შედარებითი სამართლით ისწავლება სისხლის ან სამოქალაქო სამართალი მაგრამ არა საერთაშორისო სამართალი.თუ საერთაშორისო სამართლის მაგისტრი უნდა მივიღოთ სახეზე, მაშინ რატომ სჭირდება მას სავალდებულოდ იცოდეს კორპორაციული ან შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, ეს შესაძლოა იყოს მხოლოდ არჩევითად. საბჭოს წევრის განმარტებით თუ ინსტიტუცია თვლის, რომ ყველა სფერო უნდა იცოდეს, რატომ არ წერია სისხლის სამართალი. დაწესებულებას მართებს უფრო მეტი კონცეპტუალური დაფიქრება.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ამ საგანს სხვა ხარისხობრივ შინაარსს ანიჭებენ. იქ სამართლებრივ თემატიკასთან ერთად არის სხვა ბევრი სამართლებრივი ასპექტები, არის სხვა ლიტერატურა, სხვა სასამართლო პრაქტიკები და ხარისხი, რომელიც ლექტროს შემოაქვს. ინსტიტუციამ საბჭოს წევრებს მოუწოდა შეეხედათ სილაბუსისთვის, როგორც ერთიანი ორგანიზმისთვის. არა კონკრეტულად ერთი კვირიდან არამედ ერთიან ორგანიზმს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა სწავლის შედეგების ფორმირების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, როგორც მან აღნიშნა, შერჩევითობის პრინციპით გახსნა სილაბუსები და სწავლის შედეგების ფორმულირებებში შეამჩნია გარკვეული უზუსტობები, მაგალითად საერთაშორისო სავაჭრო სამართალი''-ცოდნაში მითითებულია უნარები, უნარებში ცოდნა და ბევრი ტექნიკური ხარვეზი, მისი თქმით ამას რომ თავი დავანებოთ რატომ უნდა იყოს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის მისაღწევი შედეგი, შემდეგი ფორმულირებით ჩამოყალიბებული ''იღრმავებს ანალიტიკური აზროვნების უნარს'', ''შეძლებს დამოუკიდებლად

მოახდინოს ნორმის შეფარდება პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას'',''განსაზღვრავს სამართლის რისკებს და მართავს მათ '','' ხვეწს კომუნიკაციის უანრჩვევებს''. ის დაინტერესდა ამ შემთხვევებში სად იყო დარგობრივი კომუნიკაცია, ან რატომ უნდა იყოს სწაავლის შედეგი ფორმულირებული შემდეგნაირად ''გააცნობიერებს დასავლური სამართლებრივი განათლების სტანდარტებსა და პროფესიის ეთიკურ ნორმებს'',როდესაც საგანი არის სასწავლო კუესი საერთაშორისო სავაჭრო სამართალი.

დაწესებულებამ აღნიშნა, რომ თარგმანში შესაძლოა ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა, მისი აზრით პრობლემას ვერ ხედავს იმაში, რომ შედეგში მითითებულია-'' სტუდენტი ახერხებს სამართლის ნორმის შეფასებას ფაქტობრივ გარემოებებთან'' მაშინ, როდესაც საგნის ამოსავალი წერტილი უამრავი კაზუსია. ეს საგანი მოწოდებულია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტს იურიდიული ალგორითმის გამომუშავებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ციტირება მოახდინა სილაბუსიდან ''მსოფლიო საბჭო ორგანიზაციის სტრუქტურა, სამართლებრივი ბაზარი, დავების გადაჭრის პროცედურები, როგორ ახდენს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების აღქმას და გამოეყენებას, კერძოდ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მსოფლი სავაჭრო ორგანიზაციის სტანდარტებთან''-ეს სილაბუსი მისი თქმით ასევე შეიცავს დარგობრივ შედეგებსაც.

საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა დაინტერესდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით, მისი თქმით, აკადემიური პერსონალია რის 4 ადამიანი და არის 13 მოწვეული პერსონალი. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, როგორ ინარჩუნებენ პროგრამის მდგრადობას, როდესაც მოწვეული ლექტორები ბევრად აღემატება აკადემიურ პერსონალს. ასევე, მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი პროფესორის პუბლიკაციებში წერია 5 ნაშრომი და აქედან 1 დისერტაცია, რომელიც პუბლიკაციებში არ უნდა იყოს მითითებული ასევე მან იკითხა, იმის შესახებ თუ რამდენად არის მისაღები რომ ინგლისურენოვან პროგრამაში პროფესორს არ ჰქონდეს რაიმე საერთაშორისო პუბლიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძემ ყურადღება გაამახვილა ერთ ერთ რეკომენდაციაზე, რომლიც იყო შემდეგი ფორმულირების: ''საუნივერსიტეტო მარეგულირებელ აქტებს დაემატოს და მკაფიოდ გაიწეროს მაღალრეიტინგულ და რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობა'' მან აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით სთხოვა დაწესებულებას განმარტების გაკეთება.

დაწესებულებამ განმარტა, რომ პროგრამას ჰყავს 5 პროფესორი, თვითშეფასების ანგარიშში მათი მხრიდან მითითებული იქნა, რომ სწორედ ისინი ასწავლიან კურსებს. სამართლის მიმართულებით ჰყავთ 10 პროფესორი. მისი თქმით, ისინი მაგისტრატურასა და ბაკალავრიატზე ლექტორების დუბლირებისგან თავის არიდებას მაქსიმალურად ცდილობენ. როგორც მან აღნიშნა, არიან პროფესორები, რომლებიც კვლევებს ხელმძღვანელობენ და აღნიშნულ რაოდენობაში არ შედიან. პროგრამის სწავლებაში ჩართულია 5 პროფსორი, პროგრამას არ ჰყავს ბევრი სტუდენტი მათი რაოდენობა დაახლოებით 20 - ია და თანაფარდობა პროფესროს და სტუდენტს შორის არის 1 პროფესორი 6 სტუდენტზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციების გადაფარვასთან დაკავშირებით, მისი თქმით, 4.1 სტანდარტის პირველი და მეორე რეკომენდაციები შინაარსობრივად ერთმანეთს ფარავს და აქცენტს აკეთებს აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდაზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, აკრედიტაციის სტანდარტები არ

განსაზღვრავს სტუდენტების/აკადემიური პერსონალის/მოწვეული პერსონალის დასაშვებ თანაფარდობას. ასევე მისი თქმით 4.2-თან მიმართებაში ორი რეკომენდაცია ფარავს ერთმანეთს,პირველი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ უნივერსიტეტს ჰქოდნეს ნორმატიული აქტები გაწერილი რომლითაც მოხდება აკადემიური პერსონალის და პროგრამასთან ასოცირებული პირების კვლევითი პროდუქტიულობის წახალისება, შესაბამისი მონიტორინგი პროდუქტიულობის შეფასების თვალსაზრისით და ავტომატურად მხარდაჭერა ხოლო მეორე რეკომენდაცია უბრალოდ აზუსტებს კვლევითი პროდუქტიულობის კომპონენტებს და შიფრავს რა იგულიხმება პროდუქტიულობაში. დაწესებულების განმარტებით ეს არის ერთი რეკომენდაცია. თავად უნივრსიტეტს აქვს დეპარტამენტის მხრიდან მხარდაჭერის ფორმები, ისინი საკმაოდ აქტიურად მართავენ კვლევითი პროდუქტიულობის სისტემას. ექსპერტებს წამოწეული ჰქონდათ ამავე კრიტერიუმში მერვე დანართი, რომლითაც დაწესებულება აკონტროლებს კვლევით პროდუქტიულობას ეს მათი თქმით არის საკმაოდ ვრცელი დოკუმენტი. მერვე დანართი ამ შემთხვევაში არის მათი სასწავლო მარეგულირებელი წესის დანართი, ოფიციალურად დამტკიცებული. დაწესებულების განმარტებით მათთან არიან ა, ბ, გ, დ კატეგორიის პროფესორები, ასეთი ოთხი ტიპი გხვდება ნებისმიერი საფეხურზე. დაწებულება დანართის მეშვეობით აკონტროლებენ კვლევითი პროდუქტიულობის მოთხოვნებს და თითოეულთან მიმართებაში აქვთ მინიმალური სტანდარტები, რომლითაც საკადემიური პერსონალის პროდუქტიულობა მოწმდება. მცირე კვლევითი გრანიტები ემსახურება, იმას რომ აკადემიურ პერსონალს და სხვა პირებს მისცენ მხარდაჭერის შესაძლებლობა და აფინანსებენ 10 პროექტს, იყო 5 ათასი ლარის პირობა და მათ გაზარდეს და 8 ათასამდე 5 წლის მონაცემებით 37 ერთეულით ფიქსირდება სამეცნიური პროდუქტიულობა. ამაში შედის კონფერენციები და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციები. 2 ადგილობრივი და 9 საერთაშორსიო კონფერენცია, ადგილობრიც ჟურნალში გამოცემა 10, საერთაშორისო ჟურნალში კი არის 8. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ დისერტაცია არ უნდა მოხვედრილიყო 5 პუბლიკაციაში. შესაძლოა რიგ აკადემიურ პერსონალთან არ იყოს მყარი რესურსები მეცნიერული პროდუქტიულობის თვალსაზრისით, თუმცა ერთიანობაში პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობა მაღალია.

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის რეკომენდაციები და რჩევები მათი თქმით განპირობებულია მხოლოდ დახმარების და პროგრამის გაუმჯობესების სურვილით. მისი თქმით საერთაშორისო სამართალი სპეციფიკური სისტემაა და მეტ ყურადღებასა დაფიქრებას მოითხოვს იმის შესახებ, თუ როგორ იქნება პროგრამა აწყობილი. მთავარი რეკომენდაცია მათი მხრიდან ეხებოდა დაბალანსებას საგნობრივი შეთავაზებების სასწავლო კურსების მიმართ. ექსპერტებმა განმარტეს, რომ ძალიან ფრთხილები იყვნენ და კონკრეტული მინიშნება არ გაუკეთებიათ, რადგან თვლიან რომ საკმარისი რესურსი არსებობს უმაღლეს სასწავლებელში რომ თავად გადაწყვიტონ როგორ უნდა მოხდეს აღმოფხვრა შესაბამისი მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამახვილდა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით სასწავლო კურსების შეთავაზებაზე. დარგობრივი დოკუმენტი პირდაპირ მიუთითებს, რომ სამაგისტრო საფეხურზე შესაბამისი შემუშავებული სწავლის შედეგების გამოყენება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სწავლის სფეროს მიხედვით. ზოგიერთ საგანზე გაიცა რეკომენდაცია, რომ უმჯობესია არ ჰქონდეს სავალდებულო ხასიათი ან არჩევით საგნებში იყოს მითითებული. ასევე საერთაშორისო სამართლით კვლევის ჩატარება მათი თქმით უმნიშვნელოვანესია კვალიფიკაციის მინიჭების თვალსაზრისით.

დაწესებულებამ კომენტარი გააკეთა 3.2 კომპონენტთან დაკავშირებით, რეკომენდაციის თანახმად, საჭიროა სმააგისტრო ნაშრომის შესრულების დაზუსტება. მათთან დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით, როგორც განსაზღვრულია მინისტრის მესამე ბრძნებით. ინსტიტუციის

განმარტებით მათი სისტემა შესაბამისობაშია ნორმატიულ ბაზასთან. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტიან შეფასებას, ეს არ არის შუალედური და დასკვნითი შეფასება.ეს არის ცალსახად დასკვნის შეფასება, რეცენზენტის შეფასება და კომისიის შეფასება. მათი თქმით ეს ნაწილი საბჭოს მხრიდან გათვალისწინებული უნდა იქნეს
და რეკომენდაციების ჩამონათვალიდან ამოღებული უნდა იქნას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:45
დასრულების დრო: 20:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა რამდენიმე რეკომენდაცია.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
1. საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროს გათვალისწინებით, სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტების დაბალანსება ან/და ახალი კომპონეტების დამატება და შესაბამისი კომპეტენციების პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბება;
2. საერთაშორისო სამართლის სფეროს, კვალიფიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა დარგების მეშვეობით პროგრამის გაძლიერება;
3. რჩევით ბლოკში საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებით განისაზღვროს მინიმალური ასათვისებელი საკრედიტო მოცულობა;
4. კვალიფიკაციის გათვალისწინებით დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის თემის საერთაშორისო ელემენტის შემადგენლობით შერჩევის მექანიზმი;
5. საერთაშორისო საჯარო სამართლის სასწავლო კურსის ჩანაცვლება იგივე სფეროს სამაგისტრო საფეხურისთვის შესატყვისი სასწავლო კურსით;
6. შედარებითი კორპორაციული სამართლის და შედარებითი საკონსტიტუციო სამართლის სასწავლო კურსის სავალდებულო სტატუსის შეცვლა, არჩევით ბლოკში განთავსება. შინაარსისა და სწავლის შედეგების ადაპტირება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან;
7. სამართლებრივი მართლწერის სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება და სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.;
8. აქტიური პრაქტიკის წარმატებით განხორციელების მიზნით პროგრამის რელევანტურ ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერება და დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი მემორანდუმების გაფორმება;
9. მოხდეს სასწავლო პრაქტიკის სილაბუსის სწავლის მიზნებისა და შედეგების კორექტირაბა და მასში მკაფიოდ და დეტალურად განისაზრვროს პროგრამის კვალიფიკაციის შესატყვისი მიზნები და კომპეტენციები;
10. მიზანშეწონილია პარტნიორ დამსაქმებლებთან მემორანდუმების განახლება და ასევე ისეთ პარტნიორ ორგანიზაციათა წრის გაფართოება, რომლებიც მჭიდრო კავშირში იქნებიან საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთა დასაქმების სფეროებთან;
11. უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს აკადემიური პერსონალის რესურსის თემის ხელმძღანელებად გამოყენებაზე და თუ არსებული რესურსი არასაკმარისია მაშინ იზრუნოს აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდაზე;

12. საჭიროა უნივერსიტეტში მოქმედ „სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში“ ნათლად გამოიკვეთოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხი;
13. მოხდეს აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა და გონივრული შესაბამისობა სტუდენტების რაოდენობასთან;
14. პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი ბირთვი დაკოპლექტდეს აკადემიური პერსონალისაგან;
15. მკაფიოდ ჩამოყალიბდეს და საუნივერსიტეტო მარეგულირებელ აქტებში მკაფიოდ გაიწეროს აკადემიური და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პირების კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში (მათ შორის საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და კონფერენციებში) ჩართვის აუცილებლობა, მათი წახალისების, ხელშეწყობის მექანიზმები და მოხდეს განხორციელებული საქმიანობის, მიღებული შედეგების მონიტორინგი და ანალიზი;
16. საუნივერსიტეტო მარეგულირებელ აქტებში მკაფიოდ გაიწეროს და ჩამოყალიბდეს პერსონალის მიერ სამეცნიერო ნაშრომების მაღალრეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორიან და რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობა;
17. გაძლიერდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაწილეობა პროგრამის განვითარების პროცესში;
18. პროგრამის გარე შეფასების ნაწილში გაძლიერეს/გაუმჯობესდეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების ჩართულობა.
19. დაწესებულებამ მკაფიოდ გამიჯნოს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, და მისი მიღწევისათვის საჭირო სასწავლო დისციპლინები, იმის მიხედვით პროგრამა გადის ეროვნული (შედარებითი) სამართლის თუ საერთაშორისო სამართლის სწავლის შედეგებზე.
20. სასწავლო დისციპლინების შინაარსი, და მისი შედეგები გათვლილი უნდა იყოს სამაგისტრო საფეხურის სწავლის შედეგებზე და არ იყოს განმეორებული ის თემატიკა, რომელსაც სამართლის სფეროს ეროვნული დარგობრივი მახასიათებელი საბაკალავრო დონეზე მოითხოვს. აღნიშნულ კონტექსტში ჩამოყალიბდეს მაგალითად შემდეგი სასწავლო დისციპლინები. (მაგსაერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სამართალი**).**
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართალის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართალის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,,ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 28 სექტემბრის N505 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0175, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა N77, სასწავლო კორპუსი N4
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს:ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანძემ
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და

საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა გიორგი ღაღანიძე

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის განმარტებით, ბიოსამედიცინო ინჟინერიის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა ონლაინ რეჟიმში. ექსპერტის თქმით, ბიოსამედიცინო ინჟინერია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამივე საფეხურის პროგრამებითაა წარმოდგენილი-საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონე. როგორც ქართულენოვანი ისე ინგლისურ ენოვანი. დოკუმენტების გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა სერიოზული ხარვეზი ან დარღვევა არცერთი სტანდარტთან მიმართებაში, თუმცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევების ჩამოყალიბება მაინც გახორციელდა მათ მიერ:

- · უზრუნველყოს უნივერსიტეტმა ხელშეკრულებების და მემორანდუმების განახლება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია იმან რომ, დოკუმენტების გაცნობის დროს ნახეს რამდენიმე ვადაგადაცილებული საბუთი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, ხელშეკრულებები და მემორანდუმები არის ბაზისი, რომელიც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად. ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს უკვე დაწყებული აქვს განახლება გარკვეული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების. მიუხედავად ამისა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მაინც დაიწერა იმ მოცემულობის საფუძველზე რომელიც იმ მომენტში მათ ქჰონდათ.

მეორე რეკომენდაცია

- უზრუნველყოს უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესების მოყვანა 27 არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.ექსპერტმა ისევ აღნიშნა,რომ არ ჩანდა დოკუმენტაციაში თუმცა დაწესებულება მზაობას აცხადებს და მუშაობა დაწყებული და მოგვარებულია.

მესამე რეკომენდაცია

- · მოხდეს შიდა შეფასების პროცედურების დახვეწა და რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ ნახეს კითხვარები, სადაც იყო გაპარული ტექნიკური შეცდომები, არასწორად იყო ფორმულირებული კითხვები, ან გაუგებარი იყო კითხვარების გამოკითხვის მეთოდიკა, ასევე გაუგებარი იყო თუ ვინ იყვნენ ის რესპოდენტები, რომლებიც პასუხობდნენ

კითხვებს. ეს პრობლემა მათი თქმით განხილულია ხარისხის სამსახურთან და გათვალისიწნებულია. ექსპერტის თქმით გაცემული რეკომენდაციები ძირითადად არის ტექნიკური ხასიათის. მათი აზრით პროგრამის სტრუქტურაში არი იყო სათანადოდ გამოხატული თავისუფალი კომპონენტი და რჩევა სწორედ მის გაზრდას ეფუძნებოდა, ასევე სილაბუსებში აღმოჩენილი იქნა, რომ ლიტერატურის კოდები არ შეესაბამებოდა ბიბლიოთეკის კოდებს. რაიმე სერიოზული ხარვეზი ექსპერტების მხრიდან არ დაფიქსირებულა.

დაწესებულებამ ყურადღება გაამახვილა პროგრამაში კვლევითი კომპონენტის შეფასების წესზე. მათი თქმით კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად. ამ პროგრამაში და იმ პროგრამებთან, სადაც რეაკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობს ისინი მოერგნენ დოკუმენტაციის ამოცვლას, იმ პირობებში როდესაც თვითშეფასების ფორმა გარკვეულწილად შეიცვალა და ეს გამოიწვევდა ძალიან ბევრ დოკუმენტთან შემხებლობას.
რაც შეეხება უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობას და მოწვევას, მისი თქმით, ბიოსამედიცინო ინჟინერია არის პროგრამა, სადაც ზემოთ აღნიშნული საკმაოდ აქტიურად არის გათვალისწინებული. როგორც მან აღნიშნა, მათ ჰყავთ სტუდენტები ერასმუს პროგრამაში, ასევე სტუდენტები, რომლებმაც კვლევით ცენტრებში მიიღეს მონაწილეობა, ასევე პროგრამას ჰყავს მოწვეული უცხოელი პედაგოგები. ინსტიტუციას ჰყავდა იტალიელი სტუდენტი, რომელმაც კვლევითი ნაწილი აქ გაიარა. დაწესებულების წარმომადგენელმა გამოკითხვებთან დაკავშირებით დაადასტურა ტექნიკური ხარვეზის არსებობა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ამ პროგრამაზე რამდენიმე დღის წინ მიიღეს განაცხადი, სადაც სამაგისტრო პროგრამაზე მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ვილნიუსის უნივერსიტეტმა. მათი თქმით საქართველოს არეალში მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტში მზადდება სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უზრუნველყოფას. ეს არის პროგრამა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ყველა ასპექტით. უნივერსიტეტმა აღნიშნა, რომ მათი ერთ-ერთი მიზანია ინტრნაციონალიზაცია, დაწესებულებაში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მემორანდუმებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვა დასვა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას დათქმა აქვს მხოლოდ ბაკალავრის ხარისხზე, ის დაინტერესდა ჰუმანიტარული მეცნიერების ბაკალავრის მოსვლის შემთხვევაში რამდენად დაძლევდა ის აღნიშნულ პროგრამას? და იყო თუ არა საჭირო დარგების ბაკალავრის დაზუსტება. ასევე, ის დაინტერესდა საგნობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით და დაისვა შეკითვა იმის შესახებ თუ დაწესებულება არჩევითობის პრინციპის რა მექანიზმით ხელმძღვანელობს?

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპეტს, ის დაინტერესდა, კითხვარები, რომლებშიც დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზები ეხებოდა თუ არა შრომის ბაზრის კვლევას. ასევე მან კითხვით მიმართა დაწესებულებას, დაშვება 20 საწოლზე ერთი ბიოსამედიცინო ინჟინერი, დარგის რაიმე სტანდარტის მოთხოვნაა, რაიმე აღიარებული კვლევიდანაა აღებული თუ ემპირიული კვლევაზეა დაფუძნებული? ასევე, ის დაინტერესდა დაწესებულებას კონკრეტულად პროგრამაზე თუ აქვთ გაკეთებული მსგავსი გათვლები, რაც ფაკულტეტის ბიუჯეტშია მოცემული, მაგალითად რა უნდა იყოს სტუდენტების მინიმალური რაოდენობა, რომ არ გახდეს აუცილებელი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებები პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად?

საბჭოს წევრის ელენე ჟურავლიოვას განმარტებით, პროგრამა აკრედიტირებულია 2012 წელს, ხოლო სამაგისტრო ნარომები დაცულია 2017, 2018, 2019 წლებში, ის დაინტერესდა იქამდე ხორციელდებოდა თუ არა ნაშრომის დაცვა.

დაწესებულების განმარტებით ბიოსამედიცინო ინჟინერიაზე სამაგისტრო პროგრამებზე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ამ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება და ჩამონათვალი მსოფლიო პრაქტიკიდან არის ძალიან დიდი, ეს არის არქიტექურის ინჟინერია, ქიმიური ინჟინერია, სამოაქალაქო, ელექტრული მასალების ინჟინერია. მიღება კი ხორციელდება ეროვნული სამაგისტრო გამოცდის და უნივერსიტეტის გამოცდის შესაბამისად. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის მხრიდან მშვენივრად იქნა დაძლეული აღნიშნული პროგრამა და მეტიც მუშაობს პოლონეთში. რაც შეეხებ საგნობრივ დატვირთვას, დაწესებულების განმარტებით სფერო საკმაოდ ფართოა, შესაძლოა არჩევითი საგნების მრავალფეროვნება არ არსებობს, თუმცა ის საგნები რომლებიც გვაქვს შეთავაზებული შესაძლებლობას იძლევიან როგორც ბიოსამედიცინო ინჟინერიის ასევე სამედიცინო ტექნოლოგიების შესწავლასაც. სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენასთან დაკაშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველი კურსდსდამთავრებული იყო ირანის მოქალაქე. მათ მოთხოვნის შესაბამისად მხოლოდ წინა წლების სამაგისტრო ნაშრომები წარმოადგინეს. ფაკულტეტის ბიუჯეტთან დაკავშირებით კი მან აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი პროგრამის კისერზე არ არის მიმართულება დამოკიდებული. მაგისტრატურის საფეხური კომერციული ინტერესის მიღმა, სხვა უფრო კრიტიკულ მიმართულებებს ემსახურება. ეს მიმართულება შრომის ბაზარზე არის ძალიან დეფიციტური. ძალიან ბევრი თანხები გადის უცხოელ ექსპერტებთან, რომ ამ მხრივ სერვისი მიიღოს ქვეყანამ. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, საქართველო შეუერთდა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და ზუსტად ეს ხელშეკრულება ავალდებულებს ქვეყანას სტანდარტების დაცვას.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით აკმაყოფილებდა თუ არა სამაგისტრო ნაშრომები სტანდარტს?

საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა, იქედან გამომდინარე, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია, კურიკულუმის შინაარსობრივ ნაწილში რამდენად იყო გათვალისწინებული ინტერნაცინალიზაციის საკითხი? ასევე, ის დაინტერესდა, რომელი ქვეყნებიდან ირიცხებოდნენ სტუდენტები ძირითადად ამ პროგრამაზე.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბევრი სამაგისტრო ნაშრომი იყო აღწერილობითი ხასიათის და აქ რომ ყოფილიყო დამატებით სტუდენტის საკუთარი კვლევა გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

საბჭოს წევრის, ელენე ჟურავლიოვას თქმით, ბიოსამედიცინო ინჟინერია საკმაოდ ფართო სფეროა, ის დაინტერესდა ეს იყო უფრო აპარატურის განვითარებაზე ორიენტირებული თუ ბიოსამედიცინო ინჟინერიაზე?
დაწესებულებამ უპასუხა, რომ პროგრამა ეხებოდა სამედიცინო ტექნიკას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სტუდენტები ძირითადად ჩამოდიან ირანიდან, თურქეთიდან და ეგვიპტიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:35
დასრულების დრო: 21:39

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ ერთი რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. უზრუნველყოს უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესების მოყვანა არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;
2. მოხდეს შიდა შეფასების პროცედურების დახვეწა და რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესება.

რჩევები:

1. სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ხელშეკრულებების და მემორანდუმების განახლება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას;
2. სასურველია, რომ პროგრამის შედეგების გადაჯგუფება მოხდეს საკვალიფიკაციო ჩარჩოში მოცემული კომპეტენციების მიხედვით;
3. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში განისაზღვროს თუ რა სპეციალობის/მიმართულების/დარგის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;
4. სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად;
5. გაფართოვდეს თავისუფალი, არჩევითი კომპონენტების ჩამონათვალი;
6. უზრუნველყოს უნივერსიტეტმა ხელშეკრულებების და მემორანდუმების განახლება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.;
7. სასურველია, რომ პროგრამის აღწერაში მითითებული იყოს სწავლება/დასწავლის ის მეთოდები, რომლებიც რეალურად გამოიყენება პროგრამის იმპლემენტაციის დროს პროგრამის მიერ გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;
8. ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს 2020-2021 სასწავლო წლის I სემესტრის კონსულტაციების გრაფიკი დეპარტამენტების მიხედვით;
9. სასურველია ფაკულტეტზე შეიქმნას სტუდენტთა დასაქმების ცენტრი, რომელიც ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას ცენტრალიზებულად მიაწვდის სტუდენტებს;
10. სამაგისტრო ნაშრომებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი;
11. მოწესრიგდეს სილაბუსებში მითითიბული სასწავლო რესურსების საბიბლიოთეკო კოდები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საბჭოს სხდომა დასრულდა 21:35საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ